პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.
წელიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76 მდივანი 10—58

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26 ტელეფ. 5—48
ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

დღიური

— მოკავშირეებმა გადაწყვიტეს არ დატოვონ სტამბოლი მანამდის, სანამ ოსმალეთი არ გადაიხდის ვალ[illegible]

— ოსმალეთის მთავრობა აპირებს ჯარის მობილიზაციის გამოცხადებას.

— სირიაში იზრდება უკმაყოფილება საფრანგეთის წინააღმდეგ.

— ინგლისის გაფიცულ მაღაროს მუშებს მოუხდა შეტაკება პოლიციასთან. შეტაკების დროს მოკლეს და დაჭრეს რამდენიმე კაცი.

№ 154 შაბათი 7 ივლისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000 მან. № 154

ტფილ. აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს ა. წ. 9 ივლისს, საღ. 6 საათზე დანიშნულია

აღმასკომის სხდომა

დღის წესრიგი:

1) გასავლის ხარჯთ აღრიცხვის შემცირების შესახებ.
2) წყლის გადასახადზე სოციალურ-დიფერენციალური ტარიფების დაწესება.
3) მიმდინარე კითხვები.

პრეზიდიუმი.

დღეს, 7 ივლისს, კოოპერაციის საერთაშორისო დღეს

რაიონულ კლუბებში წაკითხული იქნება მოხსენებანი ამავე თემაზე.

მუშათა ცენტრ. კლუბში ამხ. ბალტინი და ტოროშელიძე,
ავლაბრის მუშათა კლუბში—მომხსენ. ამხ. ხანოიანი და სპირიდონოვი.
პროფკავშირთა საბჭოს კლუბში—ამხ. კანდელაკი ვასილ.
დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება.

კოოპერაციის საერთაშორისო დღე

ივლისის პირველი შაბათი (წელს 7 ივლისი) გამოცხადებულია კოოპერაციის საერთაშორისო დღედ.

დღეს მოხდება დემონსტრაცია კოოპერატიულ ძალების. დღეს იწარმოებს ფართე პროპაგანდა-აგიტაცია კოოპერატიულ იდეების გასავრცელებლად, რათა მშრომელი მასსები აქტიურად და უშუალოდ ჩაებან საკოოპერაციო მშენებლობაში.

დიდია და მრავალ მხრივი კოოპერაციის როლი და მნიშვნელობა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

მუშათა კლასმა, რომელსაც ხელთ უპყრია მთელი ძალა-უფლება, კოოპერაცია უნდა გამოიყენოს თავის კლასობრივ მიზნების განსახორციელებლად, თავის ბატონობის განსამტკიცებლად და შრომის სუფევის დასამყარებლად.

პროლეტარიატის გამარჯვება, მის მიერ ხელისუფლების შენარჩუნება შეუძლებელია, თუ მასთან არ იქნება მშრომელი გლეხობა, თუ ამ უკანასკნელმა არ მიიღო აქტიური მონაწილეობა მუშათა სახელმწიფოს განმტკიცებაში.

ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების ცდა იკითკენაა მიმართული, რომ გააძლიეროს გლეხობის კავშირი პროლეტარიატთან, სოფლის კავშირი ქალაქთან. ეს განსაზღვრავს მისი პოლიტიკის მთავარ მომენტებს.

ამ საქმეში კოოპერაციამ უნდა შეასრულოს უდიდესი როლი. კოოპერაცია ის ორგანიზაციაა, რომელმაც ეკონომიურად უნდა გადააბას სოფელი ქალაქს, სასოფლო-სამეურნეო წარმოება სახელმწიფო მრეწველობას. მან უნდა მიაწოდოს გლეხს, ყოველ შუამავლის გარეშე, მუშის ნაწარმოები, მრეწველობის პროდუქცია, მისი მეურნეობისათვის და სახმარად საჭირო საგნები. მეორე მხრივ, მანვე უნდა მოაგვაროს გლეხის ნაწარმოების გასაღება და ამ მიზნით საჭირო საღებ-მიცემო ურთიერთობა გააჩაღოს სახელმწიფოს სათანადო ორგანოებთან და მუშათა ორგანიზაციებთან.

მაგრამ კოოპერაციის დანიშნულება მარტო გაცვლითი ოპერაციების წარმოებით არ ამოიწურება.

იგი თვითონაც უნდა ჩაებას წარმოებაში და ხელი შეუწყოს კოლექტიურ მეურნეობის აღორძინებას, ხალხის სიმდიდრის გამრავლებას, ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის აყვავებას.

ყველაფერი ამისათვის, რა თქმა უნდა, საჭიროა დიდი ორგანიზაცია და საშუალებანი.

მშრომელი მასსის კოოპერატიული შეკავშირება, მისი თვითმოქმედების გაღვიძება სამეურნეო ნიადაგზე, ეს ისეთი საქმეა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს შექმნის პირობებს ნამდვილი სოციალისტური მეურნეობისათვის.

შეკავშირებული ხალხი გამონახავს თანხას ფართე საკოოპერაციო მიზნების განსახორციელებლად, თუ მის შეგნებაში ღრმად შეიჭრება ის აზრი, რომ მდგომარეობის გაუმჯობესება, ცხოვრების გარდაქმნა ახალ საფუძველზე შესაძლებელია მხოლოდ საერთო ძალღონით, შეკავშირებით, თუ ის საბოლოოდ დარწმუნდება კოოპერაციის უპირატესობაში კერძო, ინდივიდუალურ საქმიანობასთან შედარებით, და ამ მიმართულებით კიდეც წარმართავს თავის მუშაობას და ენერგიას.

როცა ხალხი დაინტერესდება კოოპერაციით, მის საქმეებში მიიღებს ცხოველ მონაწილეობას, როცა ყოველი მოქალაქე იქნება შეგნებული წევრი კოოპერატივის, თავის დროზე გაიღებს საწევრო, თუ სხვა შესატანს, —მაშინ მშრომელი მასსა, საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით, ეჭვი არ არის, გაიმარჯვებს კოოპერაციის ფრონტზე, კოოპერაციის საშუალებით გაიუმჯობესებს თავის ნივთიერ მდგომარეობას და წინ წასწევს რესპუბლიკის ეკონომიურ ცხოვრებას.

როგორც ვსთქვით, საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარ დახმარებას, როგორც ნივთიერს, ისე სხვა მხრივ გაუწევს ჩვენს კოოპერაციას, მაგრამ, ვიმეორებთ, მთავარია თვით მშრომელ მასსის ინიციატივა, მისი დარაზმვა კოოპერაციაში.

ამ მხრივ ჩვენ დიდი მუშაობა გვაქვს კიდევ გასაწევი.

ჩვენი კოოპერაცია სულს ღაფავდა, ის საფლავის კარამდე იყო მისული, მენშევიკების და სხვა ანტისაბჭოთა პარტიების წყალობით, რომელნიც მთელი წლების განმავლობაში იყვნენ მასში გაბატონებულნი. მაშინ სრულიად შეუფერებელი იყო კოოპერაციის ორგანიზაციული სტრუქტურა ხალხის ინტერესებთან და ცხოვრების ეკონომიურ განვითარების ტენდენციებთან. დაქუცმაცებული კოოპერაციები ოდნავადაც ვერ აჩერხებდნენ რაიმე ბრძოლას კერძო კაპიტალთან, რაიმე გავლენის მოხდენას ეკონომიკის განვითარებაზე. ამასთან კოოპერაციაში მოკალათებულ პირებმა მთლიანად გაანიავეს ხალხის სიმდიდრე. ამან დაშალა კოოპერაცია, და მასსას ყოველგვარი იმედი დაუკარგა მისდამი.

ჩვენ, ხალხის ამ მტრების გაძევების შემდეგ კოოპერაციიდან, შეუდექით მის აღდგენას და გარდაქმნას. გულაცრუებული მასსა ისევ დაუახლოვეთ კოოპერაციას. მცირე დრო გავიდა მას შემდეგ, მაგრამ მაინც ამ მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენ მოვახერხეთ ფართე კოოპერატიული საქმიანობის გაჩაღება.

დღეს, კოოპერაციის დღეს, ხალხი გაიგებს, თუ რა მდგომარეობაში იყო კოოპერაცია ძველად, მენშევიკების ბატონობის დროს, თუ რა მდგომარეობაშია ეხლა და რა მიზნებს ისახავს ის შემდეგში.

მაგრამ ზემო თქმულით არ განისაზღვრება დღევანდელი დღის მნიშვნელობა.

ჩვენი, საბჭოთა კოოპერაცია წევრია საერთაშორისო კოოპერაციის. ჩვენ უნდა დავუახლოვდეთ საერთაშორისო კოოპერაციას, რომელშიც ჩაბმულია დიდძალი პროლეტარული და მშრომელი მასსა; დღევანდელი დღე უნდა გახდეს კოოპერაციაში ჩაბმულ მშრომელი მასსების სოლიდარობის და ერთობის დემონსტრაციის დღედ მსოფლიო მასშტაბით.

ამას ექნება მნიშვნელობა არა მარტო ჩვენთვის, არამედ ბურჟუაზიულ ქვეყნების მუშათა კლასისათვისაც.

იქაური კოოპერატივები დღემდე მეტ წილად შემთანხმებელთა და წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტების გავლენის ქვეშ იმყოფებიან და ისინი გადაქცეული არიან კაპიტალთან ბრძოლის იარაღის მაგიერ მის მაჩანჩალა ორგანიზაციებად. აქა-იქ გავრცელებულია აგრეთვე უტოპიური აზრები კოოპერაციის შესახებ, ე. წ. კოოპერატივიზმი, რომლის მიხედვით თითქო შესაძლებელი იყოს კაპიტალისტური წყობილების სოციალისტურად გარდაქმნა მშვიდობიანი გზით კოოპერაციის საშუალებით.

ჩვენი ამხანაგები, კომუნისტები ამ მავნე ილიუზიის წინააღმდეგ იქ აწარმოებენ სისტემატიურ ბრძოლას. ამ მხრივ მუშაობა უნდა გაძლიერდეს კოოპერაცია უნდა იქნას დაპყრობილი რევოლიუციონური ელემენტების მიერ, რომელნიც კოოპერაციაში თავმოყრილ მასსას ჩააბამენ რევოლიუციონურ კლასობრივ ბრძოლაში კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ. მხოლოდ ბურჟუაზიული რეჟიმის დამხობის და მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ კოოპერაციას შეუძლია ნამდვილი სამსახურის გაწევა პროლეტარიატისათვის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების და სოციალისტური მეურნეობის მოწყობის საქმეში. ჩვენი ამხანაგები ბურჟუაზიულ ქვეყნებში დღეს გამოვლენ ასეთი ლოზუნგებით და მით დააჩქარებენ იქაურ კოოპერაციის გადაქცევას ბრძოლის ერთ-ერთ ბასრ იარაღად ბურჟუაზიის და მისი წყობილების წინააღმდეგ.

კომუნისტური მოძრაობა საერთაშორისო კოოპერაციაში

კომუნისტების შეკავშირებულ მუშაობას საერთაშორისო კოოპერაციაში დასაწყისი მიეცა კომინტერნის აღმასკომის 1921 წლის 17 აგვისტოს დადგენილებით, როცა კომინტერნის მესამე კონგრესის დადგენილების თანახმად მოეწყო კომინტერნის კოოპერატიული სექცია.

ფაქტიური მუშაობა კომუნისტების მოქმედების გასაერთიანებლად საერთაშორისო მასშტაბით დაიწყო უფრო ადრე. კოოპერატიულ მოძრაობას, რომელიც აკავშირებს მილიონ პროლეტარებს მთელს მსოფლიოში, რასაკვირველია არ შეეძლო დარჩენილიყო განზე იმ ბრძოლისაგან, რომელიც სწარმოებს მშრომელთა ინტერესების ნამდვილ დამცველებსა,—როგორიც არიან კომუნისტური პარტიები,—და ბურჟუაზიის ლაქიებს შორის,—შემთანხმებელთა და რეფორმისტული პარტიების სახით. იმის შემდეგ, რაც მოეწყო მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი, ეს მსოფლიო რევოლიუციის გენერალური შტაბი, იმის შემდეგ, რაც საფუძველი ჩაეყარა წითელი პროფკავშირების გაერთიანებას, დადგა დრო გამიჯვნისათვის კოოპერატორთა რიგებშიც.

ჯერ კიდევ 1920 წ. ივნისში „ცენტროსოიუზის“ რწმუნებულთა ყრილობაზე გადაწყდა მისალმების გაგზავნა კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესისათვის, რომელიც იმ დროს მოსკოვში იყო შეკრებილი. მისალმებაში გამოთქმული იყო რწმენა, რომ „კომინტერნის მესამე კონგრესზე წარმოდგენილი იქნება კომუნისტური კოოპერაცია როგორც ერთ-ერთი რაზმი მშრომელთა საერთო მოძრაობისა, რომელიც მიზნათ ისახავს მთელი ქვეყნის გარდაქმნას სოციალისტურ საფუძვლებზე“.

1921 წლის მარტში „ცენტროსოიუზის“ მეორე სესიამ დაადგინა შეაწყოს განსაკუთრებული კომისია „საერთაშორისო საორგანიზაციო ბიუროს სახელწოდებით“ მესამე კომინტერნის პოზიციაზე მდგომ საერთაშორისო კოოპერატიული გაერთიანების შექმნის იდეის პროპაგანდისათვის; შემდეგ კი, მესამე სესიაზე, იმავე წლის მაისში მიღებულ იქნა დადგენილება საერთაშორისო კოოპერატიული კონფერენციის მოწვევის შესახებ. ეს კონფერენცია შესდგა მოსკოვში 1921 წლის 24 ივლისს, კომინტერნის მესამე კონგრესის დროს. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდენ 10 ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებიც ჩამოვიდენ კომინტერნისა და პროფინტერნის კონგრესზე დასასწრებლად.

ამ კონფერენციაზე დამტკიცებული იქნა თეზისები მოხსენებისათვის კოოპერაციაზე კომინტერნის კონგრესისათვის და მოეწყო „საერთაშორისო კოოპერატიული ბიურო“, თუ თეზისები,—რომლებიც, სხვათა შორის, უნდა ითქვას, მიღებული იქნენ კომინტერნის მესამე კონგრესის მიერ,—გარკვევით ლაპარაკობდენ კომინტერთან განსაკუთრებული კოოპერატიული სექციის შექმნის აუცილებლობის შესახებ, რომლიც დანიშნულება იქნებოდა: კომუნისტური პროპაგანდის წარმოება კოოპერაციაში, რევოლიუციონურ კოოპერატივების წარმომადგენლობათა გაერთიანება და კოოპერატივების საშუალებით რევოლიუციონური ორგანიზაციებისათვის დახმარების აღმოჩენა,—საერთაშორისო კოოპერატიული ბიურო ეწყობოდა როგორც, უმთავრესად, სამეურნეო ხასიათის ორგანიზაცია. მის ამოცანას შეადგენდა სავაჭრო, საქონლის გაცვლა-გამოცვლის და საკრედიტო ურთიერთობის მოწყობა სხვა და სხვა ქვეყნების კოოპერატივებს შორის.

ამ რიგად ნაჩვენები იყო ორი გზა კოოპერაციაში მუშაობისათვის: ერთის მხრით, იდეურ დარგში—კომუნისტური გავლენის გასაძლიერებლად, მეორე მხრით, სამეურნეო დარგში—კოოპერატივების მატერიალური რესურსების გაძლიერების მიზნით. ეს ორი გზა დამახასიათებელი, კოოპერაციისათვის, როგორც მასიური მოძრაობისათვის, რომელსა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამავე დროს სერიოზულ სამეურნეო ორგანიზაციას წარმოადგენს.

შემდეგში, მუშაობის პრაქტიკამ ცხადყო, რომ შეკავშირებული, წმინდა კომუნისტური ცენტრის გარეშე ყველა ქვეყნის კოოპერატიულ ორგანიზაციებში, შეუძლებელი იქნება თავის გარშემო რევოლიუციონური და ოპოზიციონური ელემენტების შეკავშირება. საჭირო გახდა თავისი ძალების შეკრებიდან მასსების დაპყრობაზე გადასვლა.

ასეთი ტაქტიკა აიხსნება აგრეთვე იმ თავისებური მდგომარეობით, რომელშიც იმყოფება საერთაშორისო კოოპერატიული მოძრაობა.

მის უმაღლეს ორგანო—საერთაშორისო კოოპერატიული კავშირის ცენტრალურ კომიტეტში, ის როგორც ცალკე ქვეყნების კოოპერატიული კავშირების ცენტრალურ კომიტეტებში, ბურჟუაზიულ და შემთანხმებელ ელემენტებთან ერთად შედიან რევოლიუციონური და კომუნისტური ელემენტებიც. საბჭოთა ფედერაციასა და რამოდენიმეთ ბულგარეთს გარდა, ჩვენ არ გვყავს უმრავლესობა ცენტრალურ კოოპერატიულ ორგანოებში. ბევრ ქვეყნებში ჩვენ სრულიად არ გვყავს წარმომადგენლები ამ ორგანოებში. შემდეგ, კოოპერატიულ კავშირებში, როგორც სამეურნეო ორგანიზაციებში, რომლებიც ეყრდნობიან სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებებს, ლაპარაკიც კი არ შეიძლება განხეთქილების შესახებ. კოოპერატიული კავშირები დაპყრობილი უნდა იქნეს მთლიანად. კოოპერატიული ორგანიზაციების დაპყრობა უნდა მოხდეს თანდათანობით. შეუძლებელია განცალკევებული, დამოუკიდებელი წითელი კოოპერატივების შექმნა.

რაც შეეხება კომუნისტური პარტიების კოოპერატიული სექციების მუშაობას ცალკე ქვეყნებში, ამის შესახებ უნდა ითქვას, რომ ასეთი მუშაობა უმთავრესად სწარმოებს რუსეთში, სადაც კომუნისტების ხელშია დიდი უმრავლესობა სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოებში („ცენტროსოიუზი“) და საგრძნობი უმცირესობა შინამრეწველობისა და სასოფლო—სამეურნეო კოოპერაციაში, სადაც არსებობს მუდმივი კოოპერატიული თათბირი რ. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტთან; ლატვიაში და პოლონეთში, სადაც ჩვენს ამხანაგებს კოოპერაციაში უხდებათ გმირული ბრძოლის წარმოება, რომელსაც ხშირად სწყვეტენ დატუსაღებით და ციხეებში ჩაგდებით; ბულგარეთში, სადაც კომუნისტებს აქვთ უმრავლესობა უძლიერეს კოოპერატიულ გაერთიანებაში „განთავისუფლება“; გერმანიაში, სადაც კოოპერატიული განყოფილება, გერმანიის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული, საკმაოდ დიდ მუშაობას ეწევა.

ორგანიზაციული ცენტრები კომუნისტების კოოპერაციაში მუშაობისათვის არის საფრანგეთში და იტალიაში, სადაც არსებობენ „კომუნისტ.—კოოპერატორების კომიტეტები“. ასეთივე კოოპერატიული სექციები ეწყობა ავსტრიისა და ჩეხო-სლოვაკეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტებთან. ჩეხო-სლოვაკეთში კომუნისტებს უმრავლესობა ყავთ მთელ რიგ ადგილობრივ მსხვილ კოოპერატივებში.

კომუნისტების საორგანიზაციო მუშაობა კოოპერაციაში დაიწყო: საფრანგეთში—1919 წელს, როცა კომუნისტები პირველათ გამოვიდენ თავისი თეზისებით საერთო კოოპერატიულ კონგრესზე; პოლონეთში—აგრეთვე 1919 წელს; გერმანიაში—1920 წლის იანვრიდან; იტალიაში—მხოლოდ 1922 წლის მარტიდან.

კომუნისტ-კოოპერატორების საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც შესდგა მოსკოვში 1922 წლის პირველ ნოემბერს (6 ნოემბრამდი) და რომელშიც მონაწილეობა მიიღო 35 დელეგატმა 20 ქვეყნიდან, მეტად დიდ ნაბიჯს წარმოადგენს წინ კომუნისტების გავლენის გაძლიერებისათვის საერთაშორისო კოოპერაციაში. მეტად დიდი ღირებულება ქონდა კონფერენციას იმიტომ, რომ მასში მონაწილეობას იღებდენ კოოპერაციის პრაქტიკული მოღვაწეები, რომლებიც წარმოადგენდენ კომუნისტური ელემენტების მნიშვნელოვან ჯგუფებს სხვა და სხვა ქვეყნების კოოპერაციაში.

მიღებული დადგენილებებიდან, გარდა იმისა, რომ კონფერენციამ გამოარკვია კომუნისტების პრინციპიალური პოზიცია სამომხმარებლო კოოპერაციაში, როგორც მასიურ ორგანიზაციაში, რომელიც აკავშირებს მილიონ პროლეტარებს, და სამრეწველო კოოპერაციაში, რომელიც უმთავრესად წვრილი მესაკუთრეების გაერთიანებას წარმოადგენს, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მთელი რიგი რჩევა-დარიგებისა კომუნისტების ტაქტიკის შესახებ კოოპერაციაში. წამოყენებული იქნა შემდეგი ლოზუნგები: ბრძოლა სიძვირის წინააღმდეგ, ბრძოლა კოოპერაციის გადასახადებისაგან განთავისუფლებისათვის, განსაკუთრებით კი ბრუნვის გადასახადებისაგან განთავისუფლებისათვის, განსაკუთრებული ფონდების შექმნა მუშებისათვის უმუშევრობის, გაფიცვების და ლოკაუტების დროს დახმარების მისაცემათ, მოგების განაწილების უარყოფა—კოოპერატიული კაპიტალის გაძლიერების მიზნით და ბოლოს კოოპერატივების მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესება.

კონფერენციამ აღიარა, რომ საწარმოო კოოპერაცია შესძლებს განვითარებას მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ძალა-უფლება პროლეტარიატის ხელში გადავა, ამიტომ მან მიაქცია კომუნისტების ყურადღება კოოპერაციის ამ დარგში გავლენის გაძლიერების საჭიროებაზე, რათა ამით მომავლისათვის შექმნილიყო შესაძლებლობა შერეული კავშირების მოსაწყობათ.

კონფერენციამ საჭიროდ და აუცილებლად აღიარა კავშირის დაჭერა რევოლიუციონურ პროფკავშირებთან, მაგრამ სასტიკად გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ პროფკავშირებმა შეასრულონ სამეურნეო, მათ შორის კოოპერატიული დავალებები (ე. წ. „გილდიური სოციალიზმი“).

კონფერენციამ საჭიროდ სცნო ცალკე ქვეყნებში კოოპერაციის მთლიანობის დაცვა, გაძლიერება და ბრძოლა კოოპერატორების დაქსაქსვის წინააღმდეგ. კონფერენციამ მოუწოდა კომუნისტებს მიაქციონ ყურადღება კოოპერაციას, გააძლიერონ თავისი წარმომადგენლობა საერთაშორისო კოოპერაციულ კავშირში, რომელიც შემთანხმებლების ხელში იმყოფება, და ბოლოს, დაავალა ყველა კომუნისტებს შესულიყვენ კოოპერატივებში აქტიური მუშაობის საწარმოებლად და პარტიული დისციპლინის წესით შეესრულებიათ ყველა დირექტივები კოოპერაციაში მუშაობის შესახებ.

კონფერენციამ კომუნისტების საერთო ამოცანებათ კოოპერაციაში აღიარა: კოოპერატიული მოძრაობის შესახებ მარქსისტული იდეების გამომუშავება და პროპაგანდა; გამომჟღავნება და სასტიკი კრიტიკა კოოპერაციის ძველი ბელადების სოციალ-შემთანხმებლური თეორიისა და პრაქტიკისა, რომლებმაც თავისი რეფორმიზმით და ოპორტიუნიზმით კოოპერაცია პროლეტარიატის იარაღიდან გადააქციეს ბურჟუაზიის მაჩანჩალათ; კოოპერატიზმის უსაფუძვლობის გამოაშკარავება, რადგან კოოპერაციას მარტო თავისი საშუალებებით არ შეუძლია კაპიტალიზმის დაძლევა, კაპიტალიზმის ჩარჩოებში კი ის შედარებით საგრძნობლათ ვერ გააუმჯობესებს პროლეტარიატის მდგომარეობას; კოოპერატივებში შეკავშირებულ მუშების ჩაბმა იმ ბრძოლაში, რომელსაც პროლეტარიატი აწარმოებს კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

თავისი დადგენილებებით კონფერენციამ გამონახა საშუალებები კომუნისტების გავლენის გასაძლიერებლათ კოოპერაციაში. ეს დადგენილებები ტარდება ცხოვრებაში ყველა ქვეყნებში, სადაც არსებობს კოოპერატიული მოძრაობა და ჩვენ იმედი უნდა გვქონდეს, რომ ახლო ხანში კოოპერაცია ბურჟუაზიის მაჩანჩალიდან გადაიქცევა პროლეტარიატის მძლავრ იარაღად.

ხმა მენშევიკების ჯარის ყოფილი აფიცრისა

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბევრჯერ მოვინდომე მე ამ წერილის დაწერა, მაგრამ ყოველთვის ერთი გარემოება მაბრკოლებდა.

მე არ ვიყავი იმაში დარწმუნებული, რომ საბჭოთა მთავრობა ნდობის თვალით შეხედავდა ჩემს გულწრფელ სურვილს შეძლებისდაგვარად დახმარება გამეწია წითელი ჯარის შექმნასა და გამაგრებაში.

მე მქონდა საბუთი მეფიქრა ასე, ვინაიდან თავის დროზე მე მენშევიკების ჯარის ოფიცრად ვმსახურებდი და რამოდენიმეჯერ მიმიღია მონაწილეობა საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორეთ ამ გარემოებამ შემაჩერა მე და შემიშალა ხელი ამესრულებია ჩემი დიდიხნის გულწრფელი სურვილი.

ვიცი ისიც, რომ ეს წერილი ბევრს აამოქმედებს ჩემს წინააღმდეგ, ვიცი რომ ყველა ისინი, ვინც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის გულისთვის მუდამ სცდილობდა წაექეზებია და აეყოლებია ქართველი მუშა და გლეხი, მეტადრე ქართველი ინტელიგენცია, რაიმე წინდაუხედავი ნაბიჯის გადასადგმელათ, ყველა ესენი, რა თქმა უნდა, არ დამაკლებენ არც ცილის წამებას, არც ყოველგვარი ტყუილებით ჩემი სახელისათვის ჩირქის მოცხებას.

ვიცი ყოველივე ეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს აშკარად და გადაჭრით გამოვსთქვა ჩემი აზრი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მომქმედი პარტიებზე, შევეხო მათ წარსულსა და ეხლანდელ მუშაობას და მით ერთხელ და სამუდამოთ ჩამოვშორდეთ (მე ვგულისხმობ ჩვენი ქართველი ოფიცრების საუკეთესო და პატიოსან ნაწილს) ყოველგვარ ავანტიურისტებსა და მათ მუშაობას.

მე ვეცდები მოკლედ დავხატო სურათი იმისი:

1. თუ როგორი იყო მენშევიკური მთავრობის დამოკიდებულება ჩვენთან ე. ი. ქართველ ოფიცრებთან და

2. რა იყო იმის მიზეზი, რომ მენშევიკების საქართველოდან წასვლის შემდეგ მათი დამოკიდებულება ჩვენდამი საგრძნობლად შეიცვალა.

მენშევიკების ბატონობის ხანა ეს განუწყვეტელი და დაუსრულებელი ომების დრო იყო.

არც ერთ მეზობელ სახელმწიფოსთან ჩვენ კეთილი განწყობილება არ გვქონდა.

გვქონდა ომი ოსმალეთთან, სომხეთთან, აზერბეიჯანთან, აჭარასთან, ოსებთან და სხვ. სულ ბოლოს კი საბჭოთა ჯარებთან.

მარტო ამ ამბებს რომ დაუკვირდეთ, უსათუოდ უნდა ვსთქვათ, რომ მენშევიკური მთავრობა ტყვილა იფარებდა სოციალიზმის ნიღაბს და ნამდვილათ კი სრულებითაც არ ფიქრობდა იმას, რომ თავის მეზობლებთან კეთილი განწყობილება დაემყარებია.

დაუსრულებელ ომებს კი მიყავდა ქართველი ხალხი სიღარიბისა და განადგურებისაკენ.

მენშევიკურ მთავრობის დაუსრულებელ ომების პოლიტიკისათვის საჭირო იყო ჯარი, მაგრამ მენშევიკური ჯარის წყობა ისეთი იყო, რომ ამ საქმისათვის სრულებითაც არ გამოდგებოდა. გარდა ამისა ამ ჯარს სჭირდებოდა დიდძალი ხალხი, მაგრამ საიდან უნდა მოეყარა თავი ამ ხალხს მცირე რიცხოვან საქართველოში.

ასე იყო თუ ისე, მენშევიკებმა ჯარი მაინც მოაწყვეს. ამ ჯარს ძველი მეფის დროის აფიცრობა ხელმძღვანელობდა.

მენშევიკებს არავითარი ნდობა ამ ჯარის არ ჰქონდათ და აი, სწორეთ ამიტომ რეგულიარულ ჯართან ერთად ისინი შეუდგენ გვარდიის შედგენას. გვარდიაში მხოლოთ ისეთ ოფიცრებს აძლევდნენ ადგილს, რომლებსაც „პოლიტიკურად საიმედოთ“ სთვლიდენ. გვარდიის უბრალო მებრძოლათ შეჰყავდათ ან თავიანთი პარტიის წევრები ან პარტიის თანამგრძნობლები.

გვარდიას ჰყავდა შტაბი, რომელიც ნაკლებათ უგდებდა ყურს მენშევიკური მთავრობის განკარგულებებს, იყო შემთხვევები, როცა ამ შტაბის ძალდატანებით მთავრობა იძულებული იყო ის გაეკეთებია, რასაც მას გვარდიის შტაბი უბრძანებდა. **გვარდია და მისი შტაბი იყო საქართველოში ისეთი ძალა, რომელსაც სიტყვის შებრუნებას ვერავინ უბედავდა.**

გვარდია ერეოდა სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში; თუ მთავრობა მაინც და მაინც გაუძალიანდებოდა და დააპირებდა ურჩობას, გვარდია იმ წამსვე გამოაცხადებდა ხოლმე: **აი ჩვენი მოთხოვნა, იცოდეთ თუ არ შეგვისრულებიათ ფრონტს თავს ვანებებთ და მოვდივართო;** ხან კი გვარდიის შტაბის წევრები იმუქრებოდენ—**ყველა პარტიიდან გამოვალთო.**

რეგულიარული ჯარი იჭვის ქვეშ ყავდათ დაყენებული და ალბათ ამიტომაც იყო, რომ მის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მაინცა და მაინც თავს არ იწუხებდენ. სამაგიეროთ მენშევიკების ხაზინა სულ ერთპირათ გვარდიელების დაკმაყოფილებას უნდებოდა. შედარებისათვის კმარა შემდეგი ცნობების მოყვანა.

ა) უბრალო გვარდიელი ღებულობდა ორჯერ მეტ ჯამაგირს, ვიდრე ჯარში მოსამსახურე უმცროსი ოფიცერი.

ბ) ჯარის კაცის ჯამაგირი შეადგენდა გვარდიელის ჯამაგირის ერთ მეოცედ ნაწილს.

გ) მობილიზაციით მოწვეულ გვარდიელს ეძლეოდა ხუთმეტჯერ მეტი ჯამაგირი, ვიდრე ჯარში მოსამსახურე პოლკოვნიკს.

ამას დაუმატოთ ის უკეთესი „ტანი და ფეხი“, უკეთესი კვება, რომელიც ჯარს არც კი მოლანდებია და ადვილათ მიხვდებით, რატომ იყო მუდამ მტრული განწყობილება ჯარსა და გვარდიას შორის.

ამასთან ერთად მენშევიკებმა ვერ მოიშორეს თავიდან ძველი დახავსებული წესები.

როგორც ჯარს, ისე გვარდიას, უმეტეს ნაწილად ის ძველი ღენერლები უძღოდენ წინ, რომელთაც არავითარი ნიჭი ან უნარი ამ საქმის არ ქონდათ. სასურსათო ურმების გამყოლათ და ისიც ფრონტის მოშორებით ისინი იქნებ კიდევ ვარგებულიყვნენ მაგრამ ჯარის წინამძღოლებათ სრულებით არ ვარგოდენ.

უნდა ისიც ითქვას, რომ მაღალი ადგილების დარიგების დროს დიდი გასავალი ჰქონდა ნათესაობას, ქალების პროტექციას, ნათლი-მირონობას და სხვ. **ასეთი იყო მენშევიკების შეიარაღებული ძალები.**

რა თქმა უნდა ძნელი არ იყო მისი მიხვედრა, თუ ვის წინააღმდეგ უნდა ეხმარათ ასეთ წესზე მოწყობილი ჯარი ეს იყო ის „შინაგანი მტერი“ ე. ი. საქართველოს რევოლიუციონური მუშები და გლეხები.

ეს რომ ასე არ ყოფილიყო, შეუძლებელი იქნებოდა, რომ მენშევიკებს ცოტა მაინც მეტი ყურადღება არ მიექციათ ჯარისათვის, როცა გვარდიელებს თან ჰყვებოდენ.

მართლაც რომ ისახელა გვარდიამ თავი და გაამართლა მენშევიკური მთავრობის იმედები იმ მრავალ აჯანყებათა „დაწყნარებაში“, რომელიც წამ და უწუმ ხან ერთი ხან მეორე ადგილზე იფეთქებდა ხოლმე საქართველოში.

მაგრამ საკმარისი იყო, რომ გვარდიას შორე ახლოს გაჰკარებოდა რეგულიარული წითელი ჯარი, რომ ეს „სახელოვანი“ გვარდიელების ლაშქარი, ერთბაშათ დანგრეულიყო და დაქსაქსულიყო.

როცა მენშევიკებისათვის აშკარა შეიქნა, რომ საზღვარ-გარეთიდან ანტანტა მას მაშველ ჯარს არ უგზავნიდა, მათ ელვის სისწრაფით მოუსვას ბათომისაკენ და თან გაიტაცეს ხალხის ქონება, ჩასხდენ გემებში და გაემგზავრენ სტამბოლისაკენ. იქიდან კი მთელ „განათლებულ ევროპას“ მოედვენ, ყველას ყურები გამოუჭედეს ბოლშევიკების ლათაებით „მტარვალობის“ შესახებ, თავის სამარცხვინო დამარცხებას კი ჩვენ ქართველ ოფიცრობას გვაბრალებდენ, ჩვენ გვამტყუნებენ და ჩვენვე გვწამებდენ მუხანათობას და ღალატს.

ერთი წყება ოფიცრობა გაჰყვა მენშევიკებს საზღვარ-გარეთ, მათ შორის უმთავრესად იყვნენ იუნკრები.

საზღვარ-გარეთ ეს ხალხი საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა, მათ სულს გარეშე არაფერი გააჩნდეთ, მენშევიკების მთავრობამ მათ ცივი უარი უთხრა რაიმე დახმარების აღმოჩენაზე. ამით ისინი ვითომ ჯავრს იყრიდენ ოფიცრობაზე, რომელსაც როგორც ვთქვი, თავის დამარცხების მიზეზად სთვლიდენ.

მენშევიკები და მათი ამყოლ-დამყოლნი საზღვარ-გარეთ, სტამბოლში მაგალითად, რამოდენიმე ასს ლირას ღებულობდენ თვეში და დღე და ღამე რესტორანებიდან არ გამოდიოდენ.

ეს ამბავი დღეს ყველამ იცის უკან დაბრუნებულ ოფიცრებისაგან.

მე მეგონა, რომ ყოველივე ეს საკმარისი იყო იმისთვის რომ ქართველ ოფიცრობას გაეწყვიტა ყოველგვარი კავშირი ყოფილ მენშევიკურ მთავრობასთან, და იმ მენშევიკებთან, რომლებიც ჩვენში დარჩნენ, და თავის საზღვარ გარეთ გადახვეწილ მეკობრების რჩევა დარიგების თანახმად, თავს უყრიდენ ყაჩაღებს, ახდენდნენ შეთქმულებებს საბჭოთა ხელისუფლების ჩამოსაგდებათ.

სამწუხაროდ, როგორც სინამდვილემ დაამტკიცა ზოგიერთი ქართველი ოფიცერი თურმე ჯერაც ვერ გარკვეულა ამ საქმეში.

ეს შემდეგი გარემოების ბრალი უნდა იყოს. საქართველოდან გაქცევის შემდეგ მენშევიკებმა შესცვალეს თავიანთი დამოკიდებულება ქართველ ოფიცრებისადმი, ვინაიდან აშკარად შეატყვეს, რომ საქართველოში მათ ერთავად გამოეცალათ ყოველგვარი ნიადაგი.

ზოგს ეროვნული გრძნობის გაღიზიანებით მოუნდომეს მოტყუება, ზოგს უტიფრად ფულიც კი შეაძლიეს ათასგვარი ხრიკებით. ჩაიტყუეს თავიანთ ფარულ ორგანიზაციებში რამოდენიმე სამსახური გარეშე მყოფი ოფიცერი და მათთან ერთად რამოდენიმე საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში წითელი ჯარის ოფიცერი, რომელთაც ფიცი ჰქონდათ მიღებული საბჭოთა ხელისუფლების ერთგული სამსახურისათვის. აი ამან გამოიწვია რამოდენიმე ჩვენი ამხანაგის დახვრეტა.

ნანობენ თუ არა მენშევიკები თავის მუხანათურ საქციელს? მე მგონია რომ არა.

პირიქით ეს მათთვის ხელსაყრელია, როგორც ყოველივე ის რაც კეთდება მათი ხელით, როგორც აქ ისე საზღვარ გარეთ. სწორეთ ასეთი ამბებია მათთვის საჭირო, რომ ვინმემ კიდევ დაუგდოს ყური მათ ლათაიებს საბჭოთა ხელისუფლების მიერ „საქართველოს აწიოკებისა და აკლების“ შესახებ.

ამგვარი მუხანათური საქციელი იყო იმ პარტიებისაც, რომლებიც მუშაობდენ წინეთ და განაგძობდენ შემდეგშიაც მენშევიკებთან მუშაობას.

მათ შეუბრალებლათ გასწირეს ქართველი ხალხი და მისი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი.

აი ამიტომ შეიცვალა მენშევიკების დამოკიდებულება ქართველ ოფიცრებისადმი.

ვინც მე მიცნობს, ვინც იცის ჩემი მშვიდობიანი დროს ან ომის დროინდელი მუშაობა, დარწმუნებული ვარ ვერ იტყვის, რომ შესაძლებელი იყოს, ციხით და თუნდა დახვრეტით დაშინებამ იმისთანა რამე მათქმევინოს, რისი პირში თქმა სათაკილო იქნება ყოველივე ქართველისათვის.

ეს მაძლევს მე უფლებას, მივცე წინადადება ჩემს ამხანაგებს რომლებთაც უყვართ თავიანთი ერი და სამშობლო, ერთხელ და სამუდამოთ ჩამოშორდენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მომქმედ ყველა პარტიებს, რომლების მუშაობა სრულ განადგურების მეტს არაფერ სახიკეთოს არ უქადის საქართველოს.

დროა, რომ ბოლოს ქართველმა ოფიცრებმა და ინტელიგენციამ გაიგონ, და იწამონ რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წყალობით, მხოლოდ ამ ხელისუფლებასთან მუშაობით, შეიძლება ჩვენი ყველასათვის ძვირფასი მამულისა და ერის შენახვა და აყვავება.

მე კი ჩემის მხრივ ყველას გასაგონათ ვაცხადებ, რომ მთელ ჩემს ძალ-ღონეს ცოდნასა და გამოცდილებას, მოვახმარ შეგნებულად და პატიოსნათ წითელი ჯარის ძალის გამაგრებას.

გიორგი თუხარელი.

5 ივლისი—23 წ.

ძირითადი კოოპერატივები და მათი წევრთა რიცხვი საქართველოში

1923 წლის პირველ იანვრისათვის მომხმარებელ საზოგადოებები საქართველოში (აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის გამოკლებით) იყო 618, წევრთა საერთო რიცხვით 305.161. ამავე დროისთვის საკრედიტო საზოგადოებათა რიცხვი უდრის 15, წევრთა საერთო რაოდენობით 15.632. სასოფლო სამეურნეო საზოგადოებანი იყო 26, წევრთა რაოდენობა უდრიდა 916-ს.

აქედან ნათლად სჩანს, რომ საქართველოში გავრცელებულია მხოლოდ მომხმარებელი კოოპერაცია, საკრედიტო საზოგადოებათა რიცხვი კატასტროფიულად კლებულობდა. უკანასკნელ წლებში 1920 წ. საქართველოში იყო 80 საკრედიტო ამხანაგობა, 1923 წლის პირველი იანვრისათვის კი დარჩა მხოლოდ 15.

დასავლეთ საქართველოში კოოპერატივები გაცილებით უფრო გავრცელებული არიან, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში: 1923 წ. პირველი იანვრისთვის დასავლეთ საქართველოში იყო 460 მომხმარებელი საზოგადოება, აღმოსავლეთ საქართველოში კი 158.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა რიცხვი კი უკანასკნელ წლებში თანდათან მატულობს. 1920 წელში არსებობდა მხოლოდ ერთი ასეთი საზოგადოება, 1923 წლის დასაწყისში კი 28.

საერთაშორისო კოოპერაცია

მეათე საერთაშორისო კოოპერატიულ კონგრესს, რომელიც შესდგა ბაზელში (შვეიცარია) 1921 წლის აგვისტოში, დაესწრო 430 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდენ 42.650 კოოპერატივს 24,3 მილიონი წევრით. აქ უმთავრესად წარმოდგენილი იყო სამომხმარებლო კოოპერაცია, რადგან სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია ბუდაპეშტის საერთაშორისო ყრილობის შემდეგ (1904 წ.) გამოეყო საერთაშორისო კოოპერაციას და შექმნა დამოუკიდებელი ცენტრი.

მეათე კონგრესზე გაკეთებული მოხსენებების მიხედვით ცალკე ქვეყნების კოოპერატიული ორგანიზაციების მდგომარეობა ასეთია:

1. ინგლისი. აქ არის სამი სავაჭრო ცენტრი: „ინგლისის ბითუმათ მსყიდველი საზოგადოება“, „შოტლანდიის ბითუმათ მსყიდველი საზოგადოება“ და „ირლანდიის ბითუმათ მსყიდველი საზოგადოება“. უკანასკნელი უმთავრესად დახმარებას უწევს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს.

კოოპერატიულ საზოგადოებათა რიცხვი 1.379 უდრის.

წევრების—4.505.000.

ბრუნვა მილიონ გირვანქა სტერლინგებში—254,2.

საკუთარი წარმოება მილიონ გირვანქა სტერლინგებში—23,4 (1918 წ.)

კოოპერატიული ვაჭრობის პუნქტი არის—6 ათასი. კოოპერაციის წევრების შემადგენლობა—95 პროც. მუშებია, წევრების საერთო რიცხვი მათი ოჯახებით (12 მილიონამდი) შეადგენს მთელი ინგლისის პროლეტარიატის ერთ მესამედს.

2. გერმანია.—მთავარი არა სავაჭრო (იდეური) ცენტრია—„გერმანიის მომხმარებელთა საზოგადოების ცენტრალური კავშირი“, მთავარი სავაჭრო—„გამბურგის ბითუმათ მსყიდველი საზოგადოება“.

საზოგადოებათა რიცხვი —2.300.
წევრების 2.900.000
ბრუნვა (მილიონ მარკებში)—806,4
საკუთარი წარმოება მილიონ მარკებში —185,2

კოოპერატიული ვაჭრობის პუნქტების რიც. 5 ათ. აღემატება. შემადგენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის 80 პროც. მუშურია, მათი საერთო რიცხვი კი შეადგენს სამრეწველო პროლეტარიატის ერთ მეხუთედს.

3. საფრანგეთი.—ერთი სავაჭრო და ერთი არასავაჭრო ცენტრი.

საზოგადოებათა რიცხვი — 4.000
წევრების „ —1.300.000
ბითუმად მსყიდველი საზოგადოების ბრუნვა მილიონ ფრანკებში — — — 165,9
საკუთარი წარმოება მილიონ ფრანკებში — — 17,5

შემადგენლობა შერეულია, უმრავლესობას შეადგენენ ქალაქის სამომხმარებლო კოოპერატივები.

4. იტალია.—იდეური ცენტრია—„ნაციონალური კოოპერატიული ლიგა", რომელშიც სამომხმარებლო კოოპერატივებთან ერთად შედიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებიც. ლიგაში შედის 2008 სამომხმარებლო საზოგადოება (1920 წ.), მათი წევრების რიცხვი უდრის — 956.000 (1918 წ.).

5 ავსტრია—არასავაჭრო ცენტრია — „მომხმარებელ საზოგადოებათა ცენტრალური კავშირი", სავაჭრო— „ბითუმად მსყიდველი საზოგადოება".

საზოგადოებათა რიცხვი — 193
წევრების „ —503.600
ბრუნვა მილიონ კრონებში 182.1.

6. ჩეხო-სლოვაკეთი. — არსებობს ორი კავშირი: „ჩეხიის კოოპერატივების კავშირი" და „ჩეხიის გერმანელ მომხმარებელთა საზოგადოებების კავშირი". „ჩეხიის კოოპერატივების კავშირში 1919 წელს შედიოდა 403 მომხმარებელთა საზოგადოება 300 000 წევრით, ამ კოოპერატივების ბრუნვა უდრიდა 330 მილიონ კრონს. მეორე კავშირში 1920 წელს შედიოდა 304 საზოგადოება 236 ათასი წევრით, ამ საზოგადოებათა ბრუნვა უდრიდა 331 მილიონ კრონს.

7. უნგრეთი. მთავარი სავაჭრო ცენტრი—„ბითუმად მსყიდველი საზოგადოება", აკავშირებს უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს.

საზოგადოებათა რიცხვი—1777
წევრების „ — 599 ათ.
ბრუნვა მილ. კრონებში — 331

8. შვეიცარია.—სავაჭრო და არასავაჭრო ცენტრი ერთია—„მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირი".

საზოგადოებათა რიცხვი — 393
წევრების „ — 362 ათ.
ბრუნვა მილ. ფრანკებში — 331.

მუშა მოსამსახურეები შეადგენენ შვეიცარიის კოოპერატივების წევრების 75 პროცენტს. კოოპერაცია აკავშირებს მცხოვრებთა 60 პროც.

9. შვეცია.—ერთი საერთო სავაჭრო და არასავაჭრო ცენტრი.

საზოგადოებათა რიცხვი 916
წევრები . . 225 ათ.
ბრუნვა მილიონ კრონებში 216.

ქალაქის კოოპერატივებში უმრავლესობას შეადგენს მუშები.

10. ნორვეგია.—ერთი სავაჭრო და იდეური ცენტრი, კოოპერატივებში წევრების უმრავლესობას მუშები შეადგენენ.

საზოგადოებათა რიცხვი 401
წევრების . . 88 ათ.
ბრუნვა მილიონ კრონებში 112.

11. დანია.—სავაჭრო ცენტრია „მომხმარებელთა საზოგადოების კავშირი", რომელიც აერთებს დანიის ყველა სამომხმარებლო კოოპერატივებს, იდეური ცენტრი საერთოა. შემადგენლობა უმთავრესად სოფლურია (1915 წ. სოფლის საზოგადოებათა პროცენტი უდრიდა 93, მათი წევრების კი—82).

საზოგადოებათა რიცხვი 1700.
წევრების . . 335
ბრუნვა მილიონ კრონებში 203
საკუთარი წარმოება მილიონ კრონებში . . 42

1918 წელს დანიის კოოპერატიულმა კავშირმა შვეციის ნორვეგიის და ფინეთის კავშირებთან ერთად მოაწყო „სრულიად სკანდინავიის ბითუმათ მყიდველი საზოგადოება".

12 გოლანდია.—გოლანდიის კოოპერაციას აქვს ერთი სავაჭრო ცენტრი „გოლანდიის ბითუმად მყიდველი საზოგადოება".

საზოგადოებათა რიცხვი — 385
წევრების — — = 292 ათასი.
ბრუნვა მილიონ გულდენებში 15.

13 ბელგია.— ბელგიის მომხმარებელთა საზოგადოების კავშირი და მისი ბითუმათ მყიდველი საზოგადოება წარმოადგენენ მუშების სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრს. სოფლის კოოპერატივები ამ კავშირში არ შედიან.

საზოგადოებათა რიცხვი = 150
ნებართვის — (1919 წ.) 200 ათასი.
ბრუნვა მილიონ ფრანკებში (1919წ) 242.

14. ფინეთი.—არსებობს მომხმარებელ საზოგადოებათა ორი კავშირი და ორი „ბითუმათ მყიდველი საზოგადოება". პირველია „ნეიტრალური" და შედგება უმთავრესად სოფლის საზოგადოებისაგან, მეორეა —„სოციალისტური", რომელშიც შედიან ქალაქის მუშების კოოპერატივები.

საზოგადოების რიცხვი—630 ათას.
წევრების „ 303 „
ბრუნვა მილიონ მარკებში 840 „
საკუთარი კაპიტალი მილიონ მარკებში— 53 „

15. პოლონეთი. არსებობს 4 კავშირი: პოლონეთის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირი შერეული (ქალაქისა და სოფლის) შემადგენლობით, მუშების სამომხმარებლო კოოპერატივების „სოციალისტური" კავშირი, „ქრისტიან" მუშების სამომხმარებლო კოოპერატივების კავშირი და რკინის გზის მომხმარებელთა საზოგადოებების ცენტრალური კავშირი.

სულ პოლონეთში არის 4000 საზოგადოება 1.400 ათასი წევრით.

16. ლატვია. ცენტრია—მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირი. სულ საზოგადოებათა რიცხვი—484. ბრუნვა (მილიონ ლატვიის მანეთებში)—50 საკუთარი წარმოება მილიონ მანეთებში—2.

17. ლიტვა. არის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირი. საზოგადოებათა რიცხვი უდრის—315, უმრავლესობა სოფლის კოოპერატივებია.

18. ესტონეთი.—არის კოოპერატიულ საზოგადოებათა ცენტრალური კავშირი, რომელიც აერთებს 300 სხვადასხვა საზოგადოებას.

„მტაცებლები ჰაერში"

„პრავდას" წერილი

მოსკოვი 6 ივლისი. გაზ. „პრავდაში" მოთავსებულია ამხ. საფაროვის წერილი: „მტაცებლები ჰაერში", რომელშიაც აღნიშნულია, რომ ინგლისის იმპერიალიზმი ვერ შეურიგდება საფრანგეთის გაბატონებას ევროპის კონტინენტზე. „ამიტომ, სწერს ამხ. საფაროვი, ინგლისი ეძებს თავის გზებს რუმინიაში, პოლონეთში, ბულგარეთი და იტალიაში, მცირე ანტანტის დაშლა—არის შედეგი ინგლის—საფრანგეთის მეტოქეობასა—რაც უკვე მომხდარი ფაქტია. ამ ჟამად ინგლისის გაზეთებში ატეხილია განგაში მთავრობის გადაწყვეტილების გამო, გააორკეცოს ბრიტანეთის საჰაერო ფლოტი. საჰაერო პროგრამის შესრულება ნავარაუდევია 1925 წლამდე. განზრახულია 500 მფრინავი მანქანის აშენება. გაზ. „დეილი ტელეგრაფი" ამის გამო აცხადებს, რომ ინგლისის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობა კუნძულებზე, ნებას აძლევს მას იყოლიოს პატარა არმია. მაგრამ ეს არ ეხება ჰაერს, საზღვაო ფლოტსაც არ შეუძლია დაიცვას ინგლისი სამარსაჰაერო ფლოტისაგან. ინგლისი აღარ არის კუნძული ამერიკისათვისაც, რომელმაც წინ გაუსწრო მას ზღვაზე და ჰაერში და არც საფრანგეთისთვის, რომელიც ემუქრება მას ზღვიდან და ჰაერიდან გაზ. „მორნინგ პოსტი" აღნიშნავს, რომ ბრიტანეთის იმპერიალიზმის საჰაერო პროგრამა მიზნათ ისახავს ისეთი ღონის მიღწევას, რომლითაც ინგლისის საჰაერო ფლოტი უნდა აღემატებოდეს თავისი ძალებით ორივე სახელმწიფოს ერთად აღებულ ფლოტებს.

თუ გადმოვთარგმნით ამ თვალთმაქცურ დიპლომატიურ ენას ყველასათვის გასაგებ ენაზე—ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისის იმპერიალიზმის უახლოეს „გეგმაში" არის ანგარიშის გასწორება საფრანგეთთან და არა ამერიკასთან. რეინის ირგვლივ, ხმელეთზე მხოლოდ იხლართება ის ნასკვი, რომელიც უნდა გაახსნას ჰაერში იმპერიალისტურ მტაცებელთა შორის დაწყებული შეიარაღებული მეტოქეობა ნებას გვაძლევს ისტორიული წინასარმეტყველება, მათემატიკური სისწორით გავითვალისწინოთ. ხოცვაჟლეტის მანქანა კაპიტალისტურ საზოგადოებაში ზედმიწევნითი სისწორით და წინასწარ მოფიქრებით მუშაობს. ის თავხედობა, რომელსაც ფარავდენ გუშინდელი მოკავშირეები „ცივილიზაციის დაცვის" ქვეშ, ხოლო ფარულად კი ემზადებიან ახალ იმპერიალისტურ ომისათვის, გვაძლევს საფუძველს გამოვიყვანოთ სათანადო დასკვნები. ზედმიწევნით იზომება და მუშავდება მომავალ საჰაერო ომის პლაცდარმი. ეძებენ მოპირდაპირეს. და ამას ჰქვია „ევროპის მშვიდობიანობა" დიდ ისტორიულ ამბების მოახლოების შეგნება სულ უფრო და უფრო ღრმად შეიჭრება საერთაშორისო პროლეტარიატის თავებში, რომელიც გაიკაფავს გზას კომუნისტურ რევოლიუციისაკენ!!

საკავშირო ცაკის სესიის გამო

„იზვესტია"-ს წერილი

მოსკოვი 6 ივლისი. „იზვესტიაში" მოთავსებულ წერილში, საკავშირო ც.-ა.კის მეორე სესიის გახსნის გამო ამხ. სტეკლოვი სწერს:

„ხანგრძლივი და ყოველმხრივი განხილვის შემდეგ, შემუშავებულია საკავშირო კონსტიტუციის პროექტი, რომელიც აკმაყოფილებს ახალ სახელმწიფოს ერთეულთან დაკავშირებულ ყველა ინტერესებს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ პროექტის განხილვა არ გამოიწვევს სერიოზულ კამათს და იგი ერთხმად იქნება დამტკიცებული. საბჭოთა კავშირი ერთხელ კიდევ თვალსაჩინოთ ამტკიცებს, მის ლტოლვათა ერთიანობას, მტკიცე გადაწყვეტილებას და სოლიდარობას საბჭოთა ფედერაციის მშრომელთა ინტერესების საკეთილდღეოთ წარმოებულ მუშაობაში.

საბჭოთა, სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის ძირითად კანონების მიღება, არის დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა. ასეთი ძმური კავშირის შექმნის ფაქტი ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც დასახლებულია ეკონომიური პოლიტიკურ და კულტურულ განვითარების სულ სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ერებით, არის უეჭველი დადასტურება იმ სახელმწიფოებრივ წყობილების სიმტკიცისა, რომელიც საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირს, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის დაარსებას აქვს არა მარტო ადგილობრივი, არამედ მსოფლიო მნიშვნელობა. მთელი მსოფლიოს წინაშე, რომელიც გადაქცეულია კაპიტალისტების ბრძოლის და ერთა ურთიერთ-შორის შუღლის ასპარეზად. ზეიმით ცხადდება საკავშირო სახელმწიფოს დაარსება, რომელშიაც მშრომელთა მასების მოთხოვნილებანი მაქსიმალურად იქნება დაკმაყოფილებული. ამასთან ერთად იქმნება ნიადაგი, როგორც ცალკე სახელმწიფოებრივ ერთეულების, ისე საერთოდ მთელი საკავშირო ფედერაციის ყოველმხრივ განვითარებისა და განმტკიცებისათვის. აი, ამიტომ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის დაარსებას ცხოველი თანაგრძნობით შეხვდებიან არა მარტო ჩვენი ფედერაციის მშრომელთა მასები, არამედ ყველა ქვეყნების მუშათა კლასი და ჩაგრულ ხალხთა ფართო მასები."

რადიო-ტელეგრამები

(„ზაქროსტას" ცნობები)

რურის საკითხი

თემთა პალატაში.

ლონდონი. 4 ივლისი. თემთა პალატის სხდომაზე ზოგიერთმა დეპუტატებმა წინადადება მისცეს ბალდვინს, მიეწოდებია ცნობა გერმანიის ნოტაზე, დაჩქარებითი პასუხის შესაძლებლობის შესახებ. ბალდვინმა განაცხადა, რომ ამ ჟამად მას არ შეუძლია არავითარი ცნობის მიცემა და დასძინა, რომ მთავრობა სავსებით ითვალისწინებს მდგომარეობის სირთულეს და ყოველივე ძალ-ღონეს ხმარობს საქმის დასაჩქარებლად.

გაზ. „ტანის" წერილიდან.

პარიზი. 4 ივლისი. „ტან"-ი სწერს: „ინგლისის პოლიტიკა მუდამ იქითკენ არის მიმართული, რომ დარჩეს მტრული განწყობილება გერმანიას და საფრანგეთს შორის, რათა განხორციელებულ იქნეს ინგლისის დიადი ოცნება გეგემონიაზე, რომელსაც უსათუოდ უნდა დაემორჩილოს საფრანგეთი, იტალია და რუსეთი, რაზედაც არ ოცნებობდენ თვით ნაპოლეონი და ბისმარკი, ან რუსეთის არც ერთი მეფეთაგანი.

„ტან"-ი ამტკიცებს, რომ ასეთი გეგემონია ზიანს მოუტანდა თვით ინგლისს.

საფრანგეთ - ინგლისის მოლაპარაკება.

ლონდონი. 4 ივლისი. ლონდონში განახლებული მოლაპარაკება საფრანგეთ-ინგლის შორის ატარებს მეგობრულ ხასიათს. საფრანგეთი თითქოს თანახმაა დააკმაყოფილოს ინგლისის მოთხოვნილებანი და უპასუხოს ბალდვინს შეკითხვაზე წერილობით. მაგრამ პარიზის კაბინეტმა გადაწყვიტა, რომ შეურიგებელი პოზიციის გამო, რომელიც დაიკავა სამთო-მადნო მრეწველობის კომიტეტმა, არ დასთმოს არაფერი რურის საკითხში. სამთო მადნო მრეწველობის მეპატრონეების ორგანო აცხადებს, რომ პუანკარეს სამინისტრო დაეცემა და პუანკარე ვერ დაბრუნდება მთავრობაში, თუ ის წავა დათმობაზე რურის საკითხში.

ფრანგების რეპრესიები.

ბერლინი. 4 ივლისი. საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ დიუსელდორფში განუცხადა გერმანიის ხელისუფლებას, რომ სურსათის შემოტანა დაკავებულ ოლქებიდან მოხდება მხოლოდ საფრანგეთის რკინის გზის ადმინისტრაციის საშუალებით.

ფრანგების წინადადება ნახშირზე გადასახადის გადახდის შემდეგ კრუპის ქარხნების განთავისუფლების შესახებ, ქარხნების ადმინისტრაციამ უარჰყო.

კერზონის თათბირი.

ლონდონი. 4 ივლისი. 3 ივლისს ჯერ კერზონს ჰქონდა თათბირი ბელგიის ელჩთან, ხოლო შემდეგ საფრანგეთის ელჩთან სენტ-ოლერთან. ამ მოლაპარაკებამ, როგორც სჩანს, ძალიან მცირედ წასწია წინ სარეპარაციო კრიზისის გადაწყვეტა. სენტ-ოლერმა კერზონთან საუბრის დროს, ძალიან უმნიშვნელოთ დაიხია უკან იმ პოლიტიკისაგან, რომელსაც ადგია საფრანგეთი ამ უკანასკნელ წლებში და არ გადასცა კერზონს წერილობითი პასუხი, რომელსაც ესოდენ გაფაციცებით მოელიან ინგლისელები.

ბელგიის ელჩმაც აგრეთვე განაცხადა, რომ მას იმედი აქვს განაგრძოს მოლაპარაკებაო. როგორც სჩანს, მოლაპარაკება გაგრძელებული იქნება, მაგრამ უთანხმოებას ისევე აქვს ადგილი, როგორც წინად.

პოლონეთის ამბები

უმაღლეს სამხედრო ორგანოების რეორგანიზაცია.

ვარშავი. 4 ივლისი. ვარშავში შესდგა სამხედრო საბჭოს რამოდენიმე სხდომა, რომლებზედაც ირჩეოდა უმაღლეს სამხედრო ორგანოების რეორგნაიზაციის პროექტი. პროექტი საგრძნობლად აფართოებს სამხედრო სამინისტროს კომპეტენციას, რათა სამხედრო უწყება დაემორჩილოს მინისტრთა საბჭოს და სეიმს.

ცვლილება უმაღლეს წრეებში.

ვარშავი. 4 ივლისი. პილსუდსკიმ განაცხადა, რომ ის სტოვებს სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას.

გაზ. „ვარშავსკა" დაცინვით აღნიშნავს, რომ პილსუდსკის წასვლა პოლიტიკურ ასპარეზიდან თვეზე მეტია, რაც გრძელდება.

ფინანსთა მინისტრად დაინიშნა გუბერტ ლინდე, პოლონეთის დირექტორი, ფოსტა ტელეგრაფის ყოფილი მინისტრი პადერევსკის კაბინეტში.

გრაბსკის გადადგომას ხ'ნიან უთანხმოებით სეიმის უმრავლესობაში. ფინანსიური და სავაჭრო სამრეწველო წრეები სასტიკად ილაშქრებენ ვალიუტის შეზღუდვის წინააღმდეგ, რომელიც გაატარა გრაბსკიმ.

ერთა ლიგაში

საარის საკითხი.

პარიზი. 9 ივლისი. საარის ოლქის კომისია ჩავიდა ჟენევაში.

უნგრეთ-რუმინეთის დავა.

პარიზი. 5 ივლისი. ჟენევიდან იუწყებიან, რომ ერთა ლიგის საბჭომ მოისმინა უნგრეთის წარმომადგენელის აპინიის მოხსენება რუმინეთის მთავრობის მიერ ტრანსილვანიაში მცხოვრებ უნგრეთულ ქვეშევრდომების კუთვნილი ქონების ჩამორთმევის შესახებ.

უნგრეთი მოითხოვს ამ საკითხის გადაცემას საერთაშორისო ტრიბუნალისათვის. რუმინეთის წარმომადგენელმა ტიტულესკომ მოითხოვა ბრიუსელის ხელშეკრულების პუნქტების დაცვა.

სესხი საბერძნეთისათვის.

რომი. 6 ივლისი. ჟენევიდან იუწყებიან, რომ იტალიის დელეგატის სალანდრას თავმჯდომარეობით, შესდგა ერთა ლიგის განსაკუთრებული კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა საბერძნეთისათვის სესხის მიცემის საკითხი, კომისიამ დაავალა ექსპერტებს გამოიმუშავოს სესხის მიცემის და გარანტიების პროექტი.

ლოზანას კონფერენცია

ოსმალეთის გაზეთების ცნობები

ანგორა. 5 ივლ. „ენი გიუნი" სწერს: „თუ მოკავშირეებს არ სურთ მშვიდობიანობა, უნდა დაიშალონ. ლოზანა გადაიქცა ჰაობად, რომელშიაც ჩვენ არ გვსურს ჩახრჩობა. „ხაკიმიეტ პილიი" ადარებს საფრანგეთის დელეგატს პელლეს სირაქლემას, რომელიც საფრთხის მოახლოვების დროს, თავს ფრთის ქვეშ იმალავს.

სტამბოლის ევაკუაცია

რომი. 5 ივლ. ოსმალეთის გაზეთები პროტესტს აცხადებენ მოკავშირეების გადაწყვეტილების წინააღმდეგ, არ დასცალონ სტამბოლი, სანამ არ შეიმუშავებენ კუპონებით ანგარიშის გასწორების საშუალებას.

ახლო აღმოსავლეთში

სამხედრო მოქმედება.

ლონდონი. 4 ივლისი. სტამბოლიდან მიღებული ცნობით, მოკავშირეების მუქარა სტამბოლის და გალლიპოლის ოკუპაციის გაგრძელების შესახებ, სადავო საკითხების მოწესრიგებამდე, დიდ აღშფოთებას იწვევს ოსმალეთის წრეებში და ქმნის სამხედრო მოქმედების განახლების შესაძლებლობას. გადმოგვცემენ, რომ ანგორის მთავრობამ წინადადება მისცა ისმეტ ფაშას უარჰყოს მოკავშირეების ყოველგვარი წინადადება ევაკუაციის გადადების შესახებ. ამავე დროს ანგორის კაბინეტმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც აცხადებს, რომ სამხედრო მოქმედების განახლების შემთხვევაში, იქნება მიღებული ყოველივე ზომები ოსმალეთის ნაციონალურ ინტერესების დასაცავად.

არჩევნები ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებაში.

ანგორა. 5 ივლისი. ბრუსაში, ამასიაში, სამსუნში და ისპარტოში არჩეული არიან ქემალისტების კანდიდატები. ადანში არეულობის გამო არჩევნები არ შესდგა.

ანტიფრანგული მოძრაობა სირიაში.

ანგორა. 5 ივნისი. ოსმალეთის პრესა იუწყება ანტიფრანგულ მოძრაობის შესახებ მთელ სირიაში, რომელიც გამოწვეულია ფრანგების განზრახვის გამო, აღკრიფათ გადასახადები 4 წლით წინ.

სმირნის ცეცხლის გამო.

რომი. 5 ივლისი. ანგორის მთავრობამ დაადგინა, ტრიბუნალებთან გაიხსნას განსაკუთრებული სამოქალაქო განყოფილებანი იმ სარჩელების განსახილველად, რომელიც ეხება ევროპის დამზღვევ საზოგადოებათა მიერ სმირნის ცეცხლით გამოწვეულ ზარალის ანაზღაურებას.

ჯარში გაწვევა.

რომი. 6 ივლისი. ოსმალეთის მთავრობა აპირებს დემობილიზაციით სახლში დაბრუნებულ ჰასაკების კვლავ ჯარში გაწვევას.

რუსეთი და სპარსეთი

დამოკიდებულება რუსეთთან.

თეირანი. 4 ივლისი. თეირანის სავაჭრო პალატის გამოსათხოვარ კრებაზე, რომელიც გაიმართა მალიშევის გამგზავრების წინ, სპარსეთის ვაჭრებმა მიმართეს შუმიაცკის თხოვნით მიიღოს ზომები რუსეთ-სპარსეთის სავაჭრო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დასაჩქარებლად.

თეირანის ვაჭრების დელეგაციამ დიდი მადლობა გამოუცხადა მალიშევს წვევისათვის და სთხოვა მას გადაეცა საბჭოთა წრეებისათვის, რომ სპარსეთის ვაჭრები უკმაყოფილოდ შეხვდენ მოთხოვნილებას შუმიაცკის გაწვევის შესახებ და ამას სთვლიან რუსეთ სპარსეთის ინტერესების დარღვევად.

სხვადასხვა ამბები

დანია

რუსეთ-დანიის ხელშეკრულების გამო.

კოპენჰაგენი. 4 ივლისი. „სოციალ-დემოკრატენი" ბეჭდავს საუბარს ცენტროსოიუზის წარმომადგენელთან ექიმ ბარრუსთან, რომელიც ჩავიდა კოპენჰაგენში დანიის ვაჭრობის პირობების გასაცნობად და აღნიშნავს, რომ დანიისათვის უმჯობესი იქნებოდა დაედო ხელშეკრულება რუსეთთან 3 წლით ადრე და იმედს გამოსთქვამს, რომ რუსეთთან ვაჭრობის განახლების შემდეგ, ბევრი შეიცვლის თავის შეხედულებას რუსეთ-დანიის ხელშეკრულებაზე.

ინგლისი

გემების შესაკეთებელი სახელოსნოების მუშათა გაფიცვა.

ლონდონი. 4 ივლისი. სამუშავო ხელფასის შემცირების გამო გაფიცული არიან გემების შესაკეთებელი სახელოსნოების მუშები: კარდიუში—1500 კაცი, ბრისტოლში—1000 და რულში—7000. გაფიცვა გაგრძელდა სხვა ადგილებზედაც, თვით ლონდონზედაც, სადაც გაფიცულია 6,000 კაცი. გაფიცვის გამო შეჩერებულია მრავალი გემები სურსათით. გაფიცულებმა მოაწყვეს მიტინგები, რომლებზედაც ორატორები აღნიშნავდენ, რომ სამუშავო ხელფასის შემცირებით, რომელიც სურთ გაატარონ, შემცირდება მუშების ჯილდო 55 შილინგიდან 9 ნახევარი შილინგამდე.

ნორვეგია

ნორვეგიელი რუსეთის შესახებ.

ქრისტიანია. 4 ივლისი. მოსკოვიდან დაბრუნდა ნორვეგიის სახელმწიფო სურსათის დირექტორი პეტერსონი, რომელმაც შეისყიდა მოსკოვში ქვავი. პეტერსონმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ რუსული ქვავი ძლიერ კარგი ღირსებისაა. გელსინგფორსში ძლიერ კმაყოფილი დარჩენ ქვავით, რომელიც იგზავნება წესიერად, ხელშეკრულების თანახმად.

იაპონია

იაპონიის შეთანხმება.

ტოკიო. 4 ივლისი. გერმანიის ელჩის ზოლფის მიერ ამხ იოფეს ნახვა და შემდეგ გოტოს შეხვედრა ზოლფთან საბაბს აძლევს იაპონიის პრესას, იმედი იქონიოს იაპონიის შეთანხმების შესახებ.

ანარქისტების მოკვლა.

ტოკიო. 4 ივლისი. იაპონიის ფაშისტების ბელადის ბინაზე აღმოაჩინეს მოკლული ანარქისტი ტაკაო.

რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკება.

ტოკიო. 4 ივლისი. რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკების დაწყების გამო, იაპონიის გაზეთები ამტკიცებენ, რომ დადებითი შედეგების მიღწევა შეიძლება მხოლოდ დათმობის გზით რუსეთის მხრივ, რადგანაც იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრი არ მიდის დათმობაზე ნიკოლაევსკის ამბების და ძველი ხელშეკრულების საკითხებში.

საბერძნეთი

საბერძნეთის კომპარტიის ყრილობა.

ვენა. 4 ივლისი. საბერძნეთის კომპარტიის ცეკა იწვევს მესამე მორიგ ყრილობას. დღის წესრიგშია: პროგრამის შემუშავება პოლიტიკურ საკითხებში, კომინტერნის კონგრესის გადაწყვეტილებების მიღება, მოხსენება პროფკავშირების მუშაობის შესახებ.

საბერძნეთის კომპარტიის ცეკა მიიწვია ბულგარეთის კომპარტიამ ბალკანეთის ფედერაციის კონფერენციაზე.

სტამბულინსკის ქვრივის დაპატიმრება.

რომი. 5 ივლისი. ბულგარეთის მთავრობამ გასცა ბრძანება სტამბულინსკის ქვრივის დაპატიმრების შესახებ.

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომის სესია

კამათი ფინანსების შესახებ

მოსკოვი. 4 ივლისი. სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის სესიაზე გრძელდებოდა კამათი ფინანსთა სახ. კომისარის მოხსენების გამო. კამათში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა დელეგატებმა, რომელთაც აღნიშნეს ფინანსიური და უმთავრესი საგადასახადო პოლიტიკის სხვა და სხვა ნაკლი. დელეგატები აღნიშნავდენ ადგილობრივ მეურნეობის ფარგლების განუსაზღვრელობას, აღმასკომების ქონებრივ უფლებათა გაურკვევლობას და ილაშქრებდენ არა პირველ საჭიროების საგნებზე ხარჯების გაწევის წინააღმდეგ. გლეხები აღნიშნავდენ სოფლად პურის სესხის უქონლობას, იმ დროს, როდესაც ამ სესხით სპეკულიაციას ეწევიან მოსკოვის შავ ბირჟაზე.

პეტროგრადის დელეგატმა წინადადება მისცა ფინანსთა სახ. კომისარს დააწესოს ზედამხედველობა იმ საშუალებათა მიზანშეწონილად დახარჯვაზე, რომელსაც იძლევა ცენტრალური ორგანოები სახალხო განათლების გასავრცელებლად.

ამხ. პრეობრაჟენსკიმ აღნიშნა, რომ საჭიროა საფინანსო პოლიტიკის შეთანხმება სავაჭრო პოლიტიკასთანო, რათა გლეხობა არ იქნეს იძულებული ძალიან დაკლებულ ფასებში მიჰყიდოს პური კულაკებს, გადასახადების შეტანის მიზნით. ჰკრეფს რა გადასახადებს, სახელმწიფომ უნდა მისცეს გლეხობას საშუალება, რათა მან გაჰყიდოს პური ნამდვილ ფასებში. ამხ. პრეობრაჟენსკი დაჟინებით მოითხოვდა ჩვენ მეურნეობაში გეგმიანობის გაძლიერებას და ამით საჭირო პირობების შექმნას, მანეთის სიმტკიცის მისაღწევად.

გადასახადების ცენტრალურ სამმართველოს უფროსმა ამხ. ლევინმა გაილაშქრა ამხ. ლარინის წინადადების წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვდა, რათა გადასახადების სისტემის შეცვლა შეფარდებულ უნდა იქნეს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის სესიასთანო, ვინაიდან ჩვენი საგადასახადო სისტემა შედგენილია ნაჩქარევად და საჭიროებს ყოველდღიურ გაუმჯობესებასო. ეხება რა თემებში დამოუკიდებელ გადასახადების შემოღებას, ლევინი ამ გადასახადების საფუძვლებს ხედავს სათემო ბიუჯეტის უქონლობაში, რომელიც მტკიცე ბაზას შეუქმნიდა ადგილობრივ ხარჯებს. ამხ. ლევინი აღნიშნავს ტყის მეურნეობის ცუდათ გამოყენებას, და ამბობს, რომ მეფის დროს ეს მეურნეობა იძლეოდა ყოველწლიურად 240 მილ. მანეთს, ხოლო დღეს—25 მილ. მანეთს.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვა

საბოლოვო სიტყვაში ამხ. ვლადიმიროვმა, დაუჭირა რა მხარი ამხ. პრეობრაჟენსკის, აღნიშნა, რომ ფინანსთა სახ. კომისარიატს განზრახული აქვს სასურსათო სახ. კომისარიატთან ერთად შეუფარდოს გადასახდელების აკრეფა სახელმწიფოებრივ დამზადებას.

ერთიან საფინანსო-სამეურნეო გეგმის შესახებ ამხ. ვლადიმიროვი ამბობს: „დღეს არც ერთი საწარმოვო გეგმა არ მიიღება მისი ფინანსიურ შესაძლებლობის თვალსაზრისით განხილვის გარეშე. ფინანსთა სახ. კომისარიატი არის საბჭოთა აპარატის ერთი ნაწილი და ამიტომ, სახელმწიფოს ბიუჯეტის მოწესრიგება უნდა მოხდეს პარალელურად რუსეთის სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგებასთან".

მოხსენების განსახილველად არჩეულ იქნა განსაკუთრებული კომისია.

დებულება ბუნებრივი სიმდიდრეთა შესახებ.

ამხ. სვერდლოვმა განმარტა „ბუნებრივ სიმდიდრეთა დებულების" შინაარსი. რათა აღმოჩენილ იქნას საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე ბუნებრივი სიმდიდრენი, თვითეულ მოქალაქეს, დებულების თანახმად ენიჭება უფლება მთელ საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე, გარდა აკრძალულ რაიონებისა, მოახდინოს სიმდიდრეთა კვლევა-ძიება. კვლევა-ძიების დასრულების შემდეგ, მოქალაქეს ენიჭება განსაკუთრებული უფლება დაამუშავოს აღმოჩენილი მადანი. მუშაობის ნაციონალურად დაყენების მიზნით და აგრეთვე სამთო-მადნო მრეწველთა მტაცებლობის წინააღმდეგ საბრძოლველად, დეკრეტში არ არის აღნიშნული დამუშავების ვადა. მადნეულების დამუშავებისათვის დაწესებულია გადასახადი სახელმწიფოს სასარგებლოთ.

საკითხი გადაეცა კომისიას.

უცხოეთის ცხოვრება

ხორბლის მოსავალი ევროპის ქვეყნებში

ევროპის მთავარ ქვეყნებიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ნაოესების მდგომარეობა იქ იმდენად დამაკმაყოფილებელია, რომ საკმაო დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ხორბლის მოსავალი ევროპაში იქნება უფრო მეტი, ვიდრე 1915 წელს. კერძოთ ინგლისში ცივი ამინდები უშლის ხელს ჯეჯილის ზრდას. საგაზაფხულო ნათესები უფრო დამაკმაყოფილებელია, ვიდრე შემოდგომის ნათესები, რომელსაც ესაჭიროება თბილი მზიანი დღეები. საფრანგეთში მოსავალს საერთოდ კარგი პირი უჩანს. დათესილ მიწების არე უახლოვდება ომამდე არსებულ ნორმას. საფრანგეთში სოფლის მეურნეების მეცადინეობით, სასოფლო-სამეურნეო იარაღების ინტენსიური ხმარებით, დიდი ნაბიჯია გადადგმული მიწათმოქმედების აღდგენისაკენ ომამდე არსებულ ნორმალურ რაოდენობამდე.

ესპანეთში ამინდი ხელს უწყობს მოსავალს და მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია.

იტალიაში მოსავალს კარგი პირი უჩანს. ნათესების მდგომარეობა გერმანიაში აგრეთვე კარგია. რუმინიაში, მიუხედავათ ძლიერი წვიმებისა, ნათესების მდგომარეობა მაინც საიმედოა. ჩეხო-სლოვაკიაში პურეულობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

დიდი ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობა ევროპის კონტინენტთან

ინგლისში საქონლის შეტანის მხრივ ევროპის კონტინენტის ქვეყნებიდან 1914 წელს პირველი ადგილი ეჭირა გერმანიას, რომელსაც შექონდა ინგლისში მთელი ევროპის საიმპორტო საქონლის ერთი მესამედი.

1922 წელს გერმანიის იმპორტს მეშვიდე ადგილი უჭირავს, ხოლო 1923 წლის პირველ მეოთხედში იგი აღმოჩნდა მეოთხე ადგილზე. ექსპორტის მხრივაც 1914 წელში გერმანიას ეჭირა აგრეთვე პირველი ადგილი; 1922 წელს ჩამოვიდა მეხუთე ადგილზე, ხოლო 1923 წელს დაიჭირა მესამე ადგილი (საფრანგეთის და ნიდერლანდების შემდეგ).

ამგვარად, გერმანიის მნიშვნელობა ინგლისის საგარეო ვაჭრობაში ერთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამასთანავე გერმანიის იმპორტი ინგლისში მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში (8643 ათას გირ. სტერლინგი) აღემატება იაგლისის ექსპორტს გერმანიაში (8542 ათასი გირვანქა სტერლინგი).

დღეს ყველაზე დიდი მნიშვნელობა ინგლისის საგარეო ვაჭრობაში აქვს საფრანგეთს, რომლის იმპორტი ინგლისში გაიზარდა 16,4 პროცენ.-დან 1914 წელს 18,3 პროც.-მდე, 1922 წელს და ბოლოს 18,9 პროცენ.-მდე 1923 წელში, ევროპის კონტინენტის იმპორტში საფრანგეთის მონაწილეობა გაიზარდა 19,1 პროც.-დან 1914 წელში 21,3 პროც.-მდე 1921 წელს და, ბოლოს, 23 პროც.-დე 1923 წელში.

ამგვარად დიდი ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის მიმდინარეობაში შემჩნეულია ორი საწინააღმდეგო ტენდენცია—გერმანიის მნიშვნელობის განახლებასთან ერთად, იზრდება ვაჭრობა საფრანგეთთან და ბელგიასთან, ამასთანავე უკანასკნელების მნიშვნელობა დღემდის მაინც უმნიშვნელო რჩება.

დიდი ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობაში რუსეთის მონაწილეობა 1914 წელში უდრიდა: იმპორტი 8,9 პროც., ექსპორტში—7,6 პროც., 1922 წელს რუსეთის მონაწილეობა ინგლისის იმპორტში უდრიდა მხოლოდ 0,8 პროც., ხოლო 1923 წელს 1,1 პროც.-ს, ექსპორტში რუსეთის მონაწილეობამ დაიკლო იმავე ხნის განმავლობაში 7, პროც.-დან 1 პროც.-დე 1922—1923 წელში.

ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა მეოთხე ყრილობა

სხდომის გახსნა

მუშტაიდის საზაფხულო თეატრში 5 ივლისს, საღამოს 7 ნახ. საათზე ამხ. გ. ჩხეიძე ა|კ. რკინისგზელთა მე-4-ე ყრილობას გახსნილად აცხადებს (ინტერნაციონალი) სიტყვა ეძლევა პრეზიდიუმის წარმომადგენელს ამხ. ნ. **ლეჟავას** იგი მოკლე მიმოხილვას უკეთებს კავშირის მოქმედებას ერთი წლის განმავლობაში და აღიარებს მას სრულიად დამაკმაყოფილებლად. კავშირმა, ამხ ლეჟავას აზრით, შესძლო უდიდესი საქმის გაკეთება—მოსპობა ა|კ. რკინისგზელთა შორის იმ უნდობლობის, რომელიც დასტოვა ნაციონალისტური პარტიების სამი წლის ბატონობამ. არა ნაკლებია მიღწევა კავშირისა მუშათა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებაში. შემდეგ ამხანაგი ეხება შინ და გარეთ შექმნილ პოლიტიკურ გარემოებას, აღნიშნავს კაპიტალის მიერ დაწყებულ შეტევას მუშათა კლასის წინააღმდეგ, მუშაობას კომუნისტური პარტიისას საერთაშორისო მასშტაბით ერთი მთლიანი ფრონტის შესაქმნელად, რევოლიუციონურ მოძრაობის ზრდას კომპარტიის გავლენის გაძლიერებას დასავლეთ ევროპის მუშებზე. დასასრულ ორატორი მოუწოდებს ყრილობას განაგრძონ სვლა უკვე არჩეულ გზით, დაიცვან მოპოვებული პროფეს. მდგომარეობა და ამავე დროს განაგრძონ ბრძოლა საერთო სახელმწიფოს ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების განსამტკიცებლად.

მისალმებანი.

რ. გზის ცენტრალურ კომიტეტის სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ: **ანდრეიჩიკი**, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს ა|კ. რკინისგზელთა შორის დამყარებულ ერთსულოვნებას და უსურვებს კვლავ ისეთი მხნეობით ეწარმოებია ბრძოლა სახელმწიფო და პროფ. ინტერესებისთვის.

სრულიად რუსეთის პროფ. კავშირთა საბჭოს ა|კ. ბიუროს და კომ. პარტ. ა|კ. კომიტეტის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. **გინზბურგი**, რომელიც მოკლე ანალიზს უკეთებს რ. გზის მუშათა კავშირს წარსული წლის მოქმედებას, საორგანიზაციო მუშაობას თითქმის სავსებით დამთავრებულად აღიარებს და მოუწოდებს კრებას ამიერიდან უმთავრესი ყურადღება მიაქციონ მონაპოვარ უფლებათა დაცვას, რომელიც შეუძლებელია, თუ არ იქნა თანახმობა მათ ინტერესებსა და საერთო მუშა ხალხის დამცველ საბჭოთა სახელმწიფოს შორის.

ამხ. გინსბურგის შემდეგ საქ. პროფ. კავ. საბჭოს სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. გ. **ყურულაშვილი**, რომელიც აღნიშნავს ა|კ. რკინის გზელთა უდიდეს და უპირველეს როლს და მნიშვნელობას ა. კავკასიის ერთა შორის ამჟამად შექმნილ სოლიდარობისა და ძმური ურთიერთობის დამყარების საქმეში. იგი იმედს გამოსთქვამს, რომ მომავალში ა|კ რკინის გზის პროლეტარიატი არ გადაუხვევს არჩეულ გზას დ მედგრად განაგრძობს ბრძოლას საერთო იდეალებისთვის როგორც საბჭოთა რესპუბლიკების, ისე კაპიტალის ტყვეობაში მყოფ მუშებთან ერთად.

მორიგ მისასალმებელ სიტყვას ა. კავკასიის რ. გზების სამმართველოს სახელით ამბობს ამხ. **პოზდეევი**, რომელიც უსურვებს კრებას ნაყოფიერ მუშაობას.

ამჟამად ნაძალადევში მოწვეულ უპარტიო რ. გზელთა კონფერენციის დავალებით ყრილობა ესალმება ამხ. **ვაშაკიძეს** რკინის გზის ბატალიონის სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. **ნოვოსელსკი**, რომელიც აღნიშნავს რკინის-გზელთა თავდადებულ მუშაობას წარსულ წლებში და უსურვებს ისეთსავე მხნეობას და ბრძოლის უნარს. დასასრულ, ყრილობას მიესალმება ა. კავკასიის სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების წარმომადგენელი მირშენზონი, რომელმაც დახასიათა რკინისგზელთა დაუღალავი მუშაობა გასულ წელს და უსურვა ყრილობას მტკიცე კანტაქტის დამყარება იმ საზოგადოებასთან, რომელიც მოწოდებულია მათში სამსახურათ და რომლის სახელით ის მათ ესალმება. მისალმებათა დასრულების შემდეგ ყრილობა ფეხზე ადგომით პატივს სცემს ვერაგულად მოკლულ ვოროვსკის და გარდაცვლილ აბილოვის ხსოვნას. ყრილობა საპატიო თავმჯდომარეებად ირჩევს ამხ. ამხ. **ლენინს, ორჯონიკიძეს, ტომსკის, დომბალს, კაშენს და ტროცკის.**

პრეზიდიუმის არჩევა.

პრეზიდიუმში ყრილობისაგან ერთხმად არჩეულნი არიან ამხ. ამხ. **ანდრეიჩიკი, გინზბურგი**, ლეჟავა, იუნინი, ლოლობერიძე, ვაშაკიძე, აბულფატ მამედოვი, კუზნეცოვი, ბუხნიკაშვილი, კვანტალიანი, ქორიძე და მახიშჩი.

სამდივნოში:

ამხ. ბრუსეცკი, მანდალინი, ოზერსკი, ქუთათელაძე.

ყრილობის დღის წესრიგი.

ყრილობა ერთხმად ამტკიცებს დღის წესრიგს:

1) საერთაშორისო მდგომარეობა 2) კავშირის ცეკას მოხსენება, 3) ს.რ.პ. კ. ს. ა|კ. ბიუროს მოხსენება, 4) რ.|გზ. კავშირის საბჭოს და სარევიზიო კომისიის მოხსენება, 5) მოხსენება ტრანსპორტის მდგომარეობაზე, 6) შრომის ინსპექტორის მოხსენება, 7) ა.|კ. სატრანსპორტო მომხმარ საზ. მოხსენება, 8) რ.|გზის დამზღვევი კასის მოხსენება, 9) საორგანიზაციო მუშაობა. 10) სატარიფო-(ეკონომიური მუშაობა. კულტ-მუშაობა, 12) არჩევნები, 13) მიმდინარე საკითხები.

ყრილობის მისასალმებელი დეპეშები.

ამხ. ლეჟავას წინადადებით მისასალმებელი დეპეშები ეგზავნება რ. კ. პ. ცეკას, რ. კ. პ. ა.|კ. კომიტეტს, ლენინს, პროფინტერნს ს. რ. პ. ს. კავშირის ცეკას.

საქ., სომხ., აზერბ., კომპარტ. ცეკას და პროფ.-საბჭოებს.

რეგლამენტების მიღების შემდეგ სხდომა 9 საათზე იხურება.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

დამშეულნი.

ბაქო. 4 ივლისი. აზერბეიჯანის აღმასრულებელმა კომიტეტმა ნუხიდან ცნობები მიიღო, რომ ნუხის მაზრაში დამშეულთა რიცხვი 6,000 სულს უდრის. ეხლა დაწვრილებითი გამოკვლევის შემდეგ გამოირკვა, რომ ნამდვილად დამშეულთა რიცხვი 1,000 სულს არ აღემატება, რომლებიც ზანგეზურის მაზრიდან არიან გადმოხვეწილნი. ნუხის სამაზრო კომიტეტი იმედოვნებდა, რომ ახალი მოსავალი დააპურებს დამშეულებს, მაგრამ გვალვამ, სეტყვამ და წყ ლდიდობამ ძალიან შეარყია მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობა. ამის გამო გლეხებისაგან დამშეულთათვის ხორბლეულის მიღების იმედი აღარ უნდა ვიქონიოთ. დამშეულები უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებიან.

მიწის საკითხი.

ბაქო. 4 ივლისი. შამხორის მაზრაში მიწის საკითხი ჯერაც მოუწესრიგებელია. განსაკუთრებით გამწვავებულია ეს საქმე ძეკამის რაიონში, სადაც გლეხებსა და შამხორის სატყეო მმართველობას შორის გაუგებრობა იბადება, რადგანაც არ მიეპოვებათ ნამდვილი მიჯნები მიწადმფლობელობისა. მიწის საკითხის გადაწყვეტა ძალიან მძიმე ნაბიჯით მიდის.

მინდვრის სამუშაოზე.

ყუბა. 4 ივლისი. აზერბეიჯანის აღმასრულებელმა კომიტეტმა ყუბიდან დეპეშა მიიღო, რათა დაუყოვნებლივ გაუგზავნონ ნამკლიანი მუშები სად. დივიჩზე 100 კაცი, ხაჩმასში—100 კაცი, ხუდატში—200. მომკლებს დღიურ ხელფასს სულადათ გაუსწორდებიან.

აზერბეიჯანის აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება მისცა შრომისა და მიწად მოქმედების კომისარიატებს დაუყოვნებლივ შეადგინონ მომკელთა არტელი და დანიშნულებისამებრ გაგზავნონ ადგილობრივ დასანაწილებლად.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

(სახალხო სასურსათო კომისარიატის ცნობები)

საჭირო განმარტება.

სახალხო სასურსათო კომისარიატმა უმარტა ახალქალაქისა და ბორ- ლოს სამაზრო სასურსათო კომი- ებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც რთი და იგივე მეურნეობა შეიცავს წას, რომლის ერთის ნაწილიც მდე- არეობს საქართველოს ტერიტო აზე, ხოლო მეორე სომხეთისაზე, ჩვეულ და მთლიან სასოფლო-სა- ურნეო გადასახადით დაბეგვრილი ნდა იქნეს მხოლოდ ის მიწა და სა- ნელი, რომელიც საქართველოს ერიტორიაზეა.

მელ რაიონში უნდა შეიკრიბოს ფულად და რომელში ნატურით?

ამიერ-კავკასიის ცენტრალურმა აღ- ულებელმა კომიტეტმა და ამიერ ვკასიის სახალხო კომისარიატთა ჭომ ივლისის 5-ს დაამტკიცა როექტი დეკრეტისა, რომლითაც ნსაზღვრულია თუ რომელს რაიო- ში განსაკუთრებით ფულად უნდა აიკრიბოს მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და რომელში ნატურით (მოსახლეობას უფლება ეძლევა, თუ სურს, გადასახადი ფულად შეიტანოს) ამ დეკრეტით იმ რაიონებს, სადაც გადასახადი ნატურით უნდა აიკრიბოს; საქართველოს ეკუთვნის შემდეგი ადგილები: გორისა და ზუგდიდის მაზრა, სიღნაღის მაზრის, შირაქისა, ალაზნის გაღმა არხისა და ქიზიყის რაიონები, ქობულეთისა (ჩახათის თემის გამოკლებით), ბათომისა და აჭარისწყლის მაზრებისა (აჭარა) და სამხრეთ-ოსეთი.

იმ რაიონებს, სადაც გადასახადი ფულად უნდა აიკრიბოს, ეკუთვნის შემდეგი ადგილები: ახალქალაქისა, ახალციხისა, ბორჩალოსი, თელავისა, სიღნაღისა, ტფილისისა, დუშეთისა, ბორჯომისა, ქუთაისისა, შორაპნისა ოზურგეთისა, სენაკისა, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრები; აფხაზეთი, ქედისა, ხულოსი და ჩახათის თემები ქობულეთის მაზრისა (აჭარა)

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში

(6 ივლისი).

ჩერვონცები — — —	14,450
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	14,000
ჩეკები —	12,000
დოლარი ეფექტ. — —	3,150
ჩეკები —	2,850
ოსმალური ქაღ. ლირა —	2265
იტალიური ლირა — —	100
ფრანგული ფრანკი ეფექტ.	155
საბჭ. ფულის ნიშნ. 1 მ. —	20

თბილისის ბაზრის ფასები.

(5 ივლისი)

პური თეთრი—80—100 ათ., პუ- 2 ხარისხ.—45—50 მ., ფქვილი თრი გირ.—100 მ., შაქარი რა- ნადი—650, შაქრის ფხვნილი— 30, ერბო—800 ათ. კარაქი—700 -800, სამარხვო ზეთი—220 — 220, რინჯი—აგდაშის—120 ათ., ყველი უშური—400 ათ., ნალებმოხდილი ელი —200 ათ., ლობიო მწვანე— 0—100 ათ., კართოფილი —40 ათ., ომბოსტო—60—80 ათ., ბურღული -60 ათ., კვერცხი ათეული—370— 00 ათ.

მოსკოვის ფასები.

(6 ივლისი).

პური თეთრი—60 ათასი, პური ხარისხ.—45, ფქვილი თეთრი— 80 ათ. ბრინჯი აგდაშის—120 ათ. არაქი მანქანაში გატარებული— 60, ყველი თუშური—460 ათ., ბურ- ული—50 ათ.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(6 ივლისს)

გოგირდი „ბუდა", რკინა, მავთული, ყუბანის ფქვილი, უმაღლესი 1 2 და 3 ხარისხის, ღერღილი, მაკარონი და ვერმიშელი 1 ხარისხ., რკინა საბურავებისათვის მრგვალი და კვადრატიული, ბარები, სამთითები, ჩაი „ინდოეთის ვარდი", ერბო, ყველი შვეიცარული, ჩაი „ცეილონი", მარილის სინდიკატის პროდუქცია, ცემენტი ნოვოროსიისკის, სრულიად რუსეთის ტყავეულობის სინდიკატის პროდუქცია, რეზინის ტრესტის ნაწარმოები, მანუფაქტურა რუსული, წუმწუმა რუსული, ოხრა, საპონის სუროგატი, ლურსმანი, ბაწარი, ქაღალდი საბეჭდი—16—24, ამერიკული ფეხსაცმელები მაღაროებში სამუშაოთ.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

ფქვილი უმაღლესი ხარისხის, ნარმა, რკინა, საღებავები ტყავეულობისათვის, ცინკი, ულტრამარინი, სოდა კაუსტიკური, თუნუქი თეთრი ინგლისის, საპონის სუროგატი, შაბიაბანი ინგლისური, სკიპიდარი, ფეხსაცმელები მუშის—ავსტრიული, თოკი ძნის შესაკრავი, ქვა-მარილი ნახიჩევანის და ბახმუტის, ლურსმანი.

ტფილისის საქონლის ბაზრის განწყობილება.

პურის და ხორბლის ფასები მტკიცეა, შემოდის დიდძალი პური კავკავიდან ურმებით. დანარჩენ ბაზარზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

სასოფლო მეურნეობა

მიწადმოქ. სახ. კომ. სავაჭრო ქვე-განყოფილება.

(მაისის ანგარიში)

საანგარიშო თვეში სავაჭრო გან- ფილების მიერ, შესრულებულია მდეგი საქმეები: მიღებულია ამიერ- კასიის რკინის გზების სამმართვე- ლოდან მენშევიკების მთავრობის მი- გერმანიაში შეკვეთილი და იქი- დან მიღებული სასოფლო-სამეურნეო მასალები. მიღებულია „ღვინის სინ- კატის" წარმომადგენლისგან 7.000 ფუთი შაბიამანი და 5000 ფ. გოგირ- , რომელიც უკვე გაეგზავნა მამუ- ლებს და მაზრებს. გასწორებულია ველგვარი ანგარიში, ამხანაგობა ვერიასთან", რომლისგანაც შაბი- ამან-გოგირდის ძველ ანგარიშში მი- ღებულია 57 ვედრო ღვინო. მიღე- ბულია საზღვარგარეთიდან 1.500 ცა- ლი შუშხუნა, რომელიც გადაეგზავნა წინანდალის მამულს. მიღებულია რესპუბლიკის მიწად. სახ. კომ.-სგან ერთი ვაგონი საწამლო მასალა, სოფლის მეურნეობის მავნეებთან ბრძოლის საწარმოებლად. აღნიშნული მასალის საფასურად გაიგზავნა 143 ფ. გოგირდ-ნახშირბადი. მიღებულია წარმო-კავშირისგან 677 ფ. შაბიამანი. მიესყიდა მთავარ საკურორტო სამმართველოს ოზურგეთს 20 გირ. ჩაი.

ამეურნეო განათლების ქვე-განყოფილება.

მიღებულია ზომები წინამძღვარი- კარის სამეურნეო სასწავლებელ- ან არსებულ სამჭედლო-საზეინკლო ხელოსნოს ასამუშავებლად, რის- თვისაც გამოთხოვილია საჭირო რკი- ნეულობა, სხვა და სხვა ზომისა და ხარისხის. ამას გარდა მიეცა თბილისის და ქუთაისის ტეხნიკუმებს ოპერაციო ხარჯების დასაფარავად და ტეხნიკური პერსონალის ჯამაგირის გასასტუმრებლად პირველს 0.000.000 მან; ხოლო მეორეს— 0.000.000 მან. სასოფლო სამეურ- ნეო კოოპერაციის 11 განყოფილება აწარმოებდა მიმდინარე საქმეებს.

მიწის მოწყობის განყოფილება.

მიწის მოწყობის განყოფილებაში შესრულებულია შემდეგი კამერალური მუშაო: 1) შედგენილია სამი საქმე, 2) შემოწმებულია 9 მიწის მოწყობის საქმე 1260 ფურცელზე, ერთი გეგმა 41 დესეტინისა, ერთი ნახაზი 962 დესეტინისა 1725 ნაკვეთი, 3) გასინჯულია 27 გეგმა 15.276 დესეტ; 2 ნახაზი 970 დესეტ., 4) შედგენილია ნახაზი 3187 დესეტ., 5) გადაწერილია 24 ასლი დედან გეგმებიდან 3 658 დესეტ. და 6 ნახაზიდან 30 დესეტ. და 25 ნაკვეთზე, 7) შეკრებილია სტატისტიკური ცნობები სასოფლო-სამეურნეო გამოფენისთვის 403 სოფელში 8 089 ნაკვეთზე, მათში 130.846 დესეტინაზე, 8) შევსებულია და შეერთებული ცნობები 18 სოფლის მიწების შესახებ, 9) შედგენილია და შემოწმებული 5 ექსპლიკაციურა აღწერა 296 ფურცელზე, 10) შედგენილია 7 დიაგრამა მომავალ სასოფლო-სამეურნეო გამოფენისთვის, 11) შემოწმებულია 4 დიაგრამა და საზღვრების დახაზვა 4 რუქის ასლებზე, 12) შეფერილია გეგმაზე საზღვრები 546 ნაკვთისა, აღდგენილია ერთი გადასაღები პლანშეტი 100 საჟენიანი მასშტაბით, 13) შესწორებულია 25 პლანიმეტრი.

ამ მუშაობის გარდა, ერთი ტეხნიკი მოუნდა მიმღებ-გადასაცემ სესიის შედგენას საქ ცენ. არქივში.

6 ტეხნიკი აწარმოებს მოსამზადებელ მუშაობას სხვა და სხვა დიაგრამებისა და რუქების შესადგენად მოსკოვის სასოფლო სამეურნეო გამოფენისთვის.

მთელი თვის განმავლობაში სამხაზველოში მუშაობდა მხოლოდ 22 კაცი, დანარჩენები წასული არიან ადგილობრივ სამინდვრო მუშაობისთვის.

საძოვრების ქვე-განყოფილება.

ამ თვის განმავლობაში საძოვრის სათიბ და სათევზო ადგილებიდან საიჯარო გადასახადი შემოვიდა 6.928.437.000 მან. გარჩეულია ადგილობრივ 37 დავა საძოვრების შესახებ. ქვეგანყოფილების მიერ დაწყებული საძოვრების მოწყობა ამ თვის განმავლობაში გამოიხატა შემდეგში: ახალ-ქალაქის მაზრაში განაწილებულია სხვა და სხვა სოფლის საზოგადოების შორის 27 სათიბი ნაკვეთი სივრცე 440 დესეტ, გამოყოფილია და გადაცემულია მეჯოგეებზე 7 საძოვარი ნაკვეთი სივრცე 3 437 დესეტ, შევსებულია 39 საანკეტო ფურცელი, საქონლის რაოდენობის გამორკვევის შესახებ, გამოირკვა და აღრიცხვაზე აღებულია 15,407 სხვილი საქონელი და 17 195 წვრილი საქონელი (ცხვრები) ის გარემოება, რომ საძოვრები და სოფლის სარგებლობაში მყოფი ადგილები ერთმანეთ შორის განსაზღვრულ არ იყვნენ და მიწის მოწყობა არ სწარმოებდა, ძლიერ აფერხებდა საძოვრების მოწყობას. შირაქის ველის დასავლეთ ნაწილში განაწილებულია 68 საძოვარი ნაკვეთი, სივრცით 18.837 დესეტ. აღრიცხულა 1428 სხვილი საქონელი და 43,977 წვრილი საქონელი (ცხვრები) ამავე ველის დასავლეთ ნაწილში აღრიცხულია 163 ნაკვეთი სივრცე 37,547 დესეტინა, რომლითაც ფაქტიურად სარგებლობს 152 ცალკე მესაქონლე. შედგენილია 166 საანკეტო ფურცელი და აღრიცხვაზე აღებულია 2.914 მსხვილი საქონელი და 71,115 წვრილი (ცხვრები).

მაისის თვის განმავლობაში საახალშენო ქვე-განყოფილების კოლლეგიაში წარდგენილია 4 მოხსენება გადასახლების შესახებ.

მეხილეობა და მებოსტნეობა.

მეხილეობა და მებოსტნეობა სასოფლო მეურნეობაში დიდი შემოსავლიანი დარგებია, სადაც ბუნებრივი პირობები ხელს უწყობენ მათ განვითარებას.

ჩვენი რესპუბლიკის მიწა-წყალი საუცხოვო პირობებს წარმოადგენს მებოსტნეობისა და მებაღეობისათვის; ჩვენში ბევრია ისეთი ადგილები, სადაც მოდის მაღალი ხარისხის ხეხილი და ბოსტნეული. და თუ ხსენებულ მეურნეობის დარგს მეტი ყურადღება მიექცევა, მათი მოვლა დამუშავება საუკეთესოთ იქნება დაყენებული, თქმა არ უნდა, მოსავლის რაოდენობა და ხარისხი კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

ყოველივე წარმოება იმ შემთხვევაში გაუმჯობესდება და განვითარდება, როდესაც ნაწარმოები მოიპოვებს ბაზარს და დააჯილდოვებს მწარმოებელს.

ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკა საუკეთესო პირობებშია: რაც უნდა ბევრი მოვიყვანოთ ჩვენ ხეხილი და ბოსტნეული, თუ ნაწარმოები იქნება მაღალი ხარისხის, ბაზარი გვექნება ფართო და დაულეველი.

მთელ საბჭოთა რესპუბლიკებში საქართველო ერთად ერთია, სადაც ბოსტნეული და ხეხილი მოდის ყველაზე ადრე და ზოგი ისეთი მცენარე ვარგობს, რომელიც არც ერთ სხვა საბჭოთა რესპუბლიკაში არ ხეირობს: მაგ. ლიმონი, მანდარინი და სხვა.

ეს უნდა იქონიოს სახეში ჩვენმა მშრომელმა ხალხმა და განსაკუთრებულის ყურადღებით უნდა მოეპყრას ხეხილის და ბოსტნეულის მოშენებას.

ქუთაისის მაზრაში, შავი ზღვის სანაპიროებზე, სამეგრელოში, გურიაში და აფხაზეთში ბოსტნეული მოდის მთელი წლის განმავლობაში ზამთარ ზაფხულ.

ხენდრო, მარწყვი, ატამი, ბალი, კომბოსტო და სხვა შემოდის აპრილიდან უბრალო მოვლით თვით ბუნებაში; ამ ბოსტნეულს რომ ქონდეს მოვლა ისე, როგორც რიგია, უფრო ადრეც მოვა და ხარისხიც აიწევს.

ამ ჟამად საადრეო მებოსტნეობას და მეხილეობას აწარმოებს გლეხობა ისიც უბრალო წესით და ამ საქმეში მათ ცოდნა და გამოცდილება ძალიან ცოტა აქვთ.

არავის არ უსწავლებია მათთვის ეს საქმე და არც უნახავთ სამრეწველო ხასიათის ბოსტნები და ხეხილები.

საჭირო კია, რომ ხეხილის ბაღები და ბოსტნები ჩვენში გაფართოვდეს და მიიღოს სამრეწველო ხასიათი; ბაზარი დიდი გვაქვს საბჭოთა რესპუბლიკების სახით და ამ დარგის გაფართოება ძლიერ წასწევს წინ გლეხის ყოფა-ცხოვრება.

გორის ხეხილი და ქუთაისის გუბერნიის საადრეო ხეხილი და ბოსტნეული ღირსია დიდი ყურადღების და სათანადოთ უნდა განვითარდეს.

აქ საეჭვო არაფერია და ამ საქმეში გლეხობას შეუძლია ბეჯითი ნაბიჯით წავიდეს წინ და გააფართოვოს ხსენებული მეურნეობის დარგები.

პროდუქტების ბაზარი დიდი გვაქვს და თუ ვერ ვისარგებლებთ ეს საკუთრათ ჩვენი ბრალი იქნება.

არ არის სწორი გზა, როცა გლეხობა ყველაფერს მოელის მთავრობიდან.

მთავრობა მისცემს საქმეს მიმართულებას, ხალხში გაავრცელებს ცოდნას; მისცემს საჭირო დარიგებას, მაგრამ მთავრობას არ შეუძლია გააკეთოს ბაღები, ბოსტნები და მზამზარეულად გადასცეს გლეხებს.

აქ აუცილებლად საჭიროა გლეხების თვითმოქმედება. გლეხები უნდა შეკავშირდენ, საერთო ძალით უნდა შეუდგინ მუშაობას და რაც თვითონ არა აქვს და არ შეუძლია იშოვნოს, ის უნდა მოსთხოვონ მთავრობას.

საზღვარ გარეთ აუარებელი სამრეწველო ხეხილის ბაღები და ბოსტნებია ნაკეთები მშრომელთა ინიციატივით; ბურჟუაზიული მთავრობაა იქ, ნაკლებათ ეხმარემა მშრომელებს, მაგრამ ხეხილი და ბოსტნეული ისეთი რამეა, რომ მაინც გზას იკვლევს და უდიდესი ბაზარი აქვს; რუსეთშიაც ბევრი შემოდიოდა წინეთ იქიდან ხილი და ბოსტნეული.

სულ სხვინაირი იქნება ჩვენი მშრომელი გლეხობის მდგომარეობა, როდესაც ისინი კოოპერატიულად დაკავშირდებიან და გაიჩენენ სამრეწველო ბაღებს და ბოსტნებს: მუშურ-გლეხური მთავრობა მათ ყოველი გზით ხელს შეუწყობს; მისცემს სესხს, მოუპოვებს ბაზარს, მოუწყობს გადასაზიდავ ვაგონებს ხეხილის და ბოსტნეულის საშრობ ქარხნებს და ყოველივე იმას, რაც საქმეს განავითარებს.

ხეხილის ბაღები და ბოსტნები ჩვენში უნდა განვითარდეს და მიიღოს სამრეწველო ხასიათი; ბაზარი დიდი გვაქვს და გლეხის ყოფაცხოვრება გაუმჯობესდება.

ბ.—ი.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენისთვის

მოწოდება

ამხანაგებო და მოქალაქენო

15 ს. აგვისტოს მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის დედა ქ. მოსკოვში გაიხსნება საბჭოთა ფედერაციის სოფლის მეურნეობის და შინამრეწველობის, საგარეო განყოფილებით, გამოფენა.

გამოფენამ უნდა დაგვანახოს მთელი ფედერაციის და მათ შორის საქართველოს ყველა კუთხეების სოფლის და შინა-მრეწველობის ეხლანდელი მდგომარეობა, ხანგრძლივი იმპერიალისტური და სამოქალაქო ომიანობით გამოწვეული მათი დანაკლისი, საუკეთესო ნიმუშები მიწის და მრეწველობის წარმოებისა და იარაღ-მანქანებისა; მან უნდა გაგვითვალისწინოს ახალი საშუალებანი სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის, უნდა აგვიხსნას და განგვიმარტოს საშუალებანი მიწის მოსავლის და ყველა სამეურნეო დარგის შემოსვლის გადიდებისა, უნდა გაგვაცნოს საუკეთესო თესლეულობა, საუკეთესო მუშა და მეწველი საქონელი, უნდა გაგვაცნოს სად რა შეგვიძლიან შევიძინოთ და ვის და რა შეგვიძლიან მივაწოდოთ უფრო სელსაყრელ ფასებში, და სხვა.

ერთი სიტყვით, გამოფენა, ერთი მხრით, დაგვანახებს ჩვენს დანაკლისს, მეორეს მხრით, გვასწავლის საშუალებებს დანაკლისების შესავსებათ.

აქედან ყველასათვის ცხადი უნდა იქნეს გამოფენის დიადი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა.

პატარა საქართველო მდიდარია ბუნებით, ხოლო უვიცობით მოგვყავს მცირე და დაბალი ხარისხის მოსავალი. საჭიროა შევისწავლოთ დაწინაურებული ქვეყნების სოფლის მეურნეობის ტეხნიკა, რომლის საშუალებითაც ბევრათ უფრო მდარე ნიადაგზე მათ მოჰყავთ ერთი-ორათ მეტი მოსავალი. ამ საშუალებას გვაძლევს მომავალი გამოფენა, სადაც ყველა დამსწრე თავის თვალით დაინახავს რა და რა არის მისთვის სასარგებლო სასოფლო სამეურნეო დარგში. საჭიროა გამოფენაზე დასწრება. ბევრისათვის, რასაკვირველია, მიუღებელია წასვლის ხარჯი, მარა, თითო თემიდან თუ არა, ყველა მაზრიდან რომ გაიგზავნოს რამდენიმე კაცი, დაბრუნებისთანავე ესენი იქნებიან მაზრის თვალი და ყური, ესენი მისცემენ მაზრას ნახულის მაგალითს და ცოდნას.

გამოფენის გახსნამდი დარჩა მხოლოდ თვე-ნახევარი. ამიტომ საქართველოს სათანადო და ორგანიზაციების მოვალეობას დღეს უნდა შეადგენდეს გამოფენისათვის ხელის შეწყობა.

მიწად-მოქმედების კომისარიატი, ამ მომართვით მოიწვევს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სპეციალისტს და საზოგადოთ კომისარიატში მოსამსახურეთ, აგრეთვე ცენტრალურ და სამაზრო დაწესებულებებს, განსაკუთრებული ყურადღებით და ენერგიით შეუწყონ ხელი გამოფენაზე რაც შეიძლება მეტი გლეხთა ექსკურსანტების და მათი ნაწარმოების გაგზავნას. ეს უნდა შეიქნეს დღევანდელი დღის ლოზუნგათ. მიწად-მოქმედების კომისარიატი, რომელიც უმთავრესათ ხელმძღვანელობს მომავალ სასოფლო და სამრეწველო გამოფენაზედ მონაწილეობის მიღებას, და რომელმაც ბევრი რამ უკვე მოაგვარა სპეციალურათ საგამოფენო კომისიის მუშაობით, მიმართავს ყველა სპეცებს სასოფლო სამეურნეო და სამრეწველო დარგისას, მიიღონ მხურვალე მონაწილეობა, ყველა პარტიული და საბჭოთა ცენტრალურ დაწესებულებებს, შექმნან პირობები, რაც შეიძლება მეტი გაიგზავნოს საქ. ს. ს. რესპუბლიკიდან მშრომელი გლეხობა და მუშები, ამ ფრიად მნიშვნელოვან და სანიმუშო გამოფენაზედ.

ვთხოვთ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს მოწოდება.

მიწათ-მოქმედების კომისარი
ვ. სტურვა.

დედობისა და ბავშობის დაცვა

ხუთშაბათს, 5 ივლისს მუშათა სასახლეში შესდგა ქალთა განყოფილების ორგანიზატორთა საერთო-საქალაქო კრება დელეგატ ქალების მონაწილეობით. კრებამ მოისმინა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დედობისა და ბავშობის დაცვის განყოფილების გამგის, ექიმ მარკოზოვის მოხსენება დედობისა და ბავშობის დაცვის სრულიად რუსეთის მეორე თათბირისა და ამ საკითხის მდგომარეობის შესახებ საქართველოში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თათბირზე მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ამ უკანასკნელ დროს შემჩნეულია დედობისა და ბავშობის დაცვის დაწესებულებების გამრავლება და ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ ისინი ადგილობრივ საშუალებებზე არიან გადაყვანილი. მომხსენებელმა საკმაოდ დეტალურად გააშუქა საკითხი აბორტების შესახებ, რომელნიც მიუხედავად იმისა, რომ ისინი რუსეთში არ ისჯებიან, არ გამრავლებულან, არამედ დარჩენ ერთ დონეზე. აბორტების მიზეზა მძიმე სოციალური პირობები. იმის გამო, რომ საუკეთესო პირობებში წარმოებულ აბორტსაც კი ვნება მოაქვს ქალის ორგანიზმისათვის, საჭიროა მის წინააღმდეგ ფართო აგიტაციის გაწევა მუშათა მასებში.

მომხსენებელი შეეხო დედობისა და ბავშობის დაცვის დაწესებულებების რიცხვს მოსკოვში და აღნიშნა, რომ იქ 88 საბავშო ბაგებია, რომელთაგან 12 ინახავს მოსკოვის ჯანმრთელობის განყოფილება და 76 წარმოებები, კონსულტაციები 97, ბავშების სახლები 28, დედობისა და ბავშობის დაცვის სახლები 2 და 14 სამშობიარო სახლები 300 საწოლით.

მოხსენებისა და შეკითხვებზე პასუხის მოსმენის შემდეგ საერთო კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც აუცილებლად სთვლის აქტიურ და ფართო კამპანიის გატარებას ბავშთა სიკვდილიანობის წინააღმდეგ და საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე კანონთა კოდექსის იმ მუხლის გადაშინჯვა და მეტი კონკრეტიზაცია, რომელიც აბორტებს შეეხება.

პროფკავშირებში

ქიმიკოსთა კავშირში.

უმუშევარნი — დასასვენებელ სახლებში.

ქიმიკოსთა კავშირმა, პროფსაბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა მიმდინარე ზაფხულს დასასვენებელ სახლებში გაგზავნილ იქნენ უმუშევარი მუშებიც.

სრულიად ქიმიკოსთა მუშაკების ყრილობა.

სამდივნომ გადასწყვიტა მოიწვიოს ა. წ. 1 ოქტომბრისთვის სრულიად ქიმიკოსთა კავშირის ყრილობა.

მუშფაკის სასარგებლოდ.

კავშირმა დააკმაყოფილა მუშათა ფაკულტეტის შუამდგომლობა საჭირო თანხის გადადების შესახებ მუშფაკში კულტმუშაობის გასაცხოველებლად.

მელითონეთა კავშირში.

პროფკავშირთა მესამე ყრილობის შესახებ.

უახლოეს დღეებში მოწვეულ იქნება მელითონეთა განყოფილების, ქარხკომების გამგეობის და მუშათა გაერთიანებული კრება, სადაც განსაკუთრებით მუშებს აეხსნებად და განემარტებათ სრ. საქართველოს პროფკავშირთა მესამე ყრილობის მუშაობის შედეგები და დადგენილებანი.

საქარხნო სახელოსნო სკოლაში.

მელითონეთა კავშირს დაარსებული აქვს საქარხნო სახელოსნო სკოლა. სკოლაში პროფტეხნიკურ მუშაობის გარდა მეცადინეობა სწარმოებს პოლიტიკურ დარგშიაც. სკოლის საქმეებს განაგებს კულტგანყოფილება და სამეურნეო ორგანოები. სკოლის გამგეთ დაინიშნა ამხ. კამარეული.

ბათომის სამთო-მადნო მუშათა შუამდგომლობა.

ბათომის სამთო-მადნო კავშირის მუშაკებმა, შუამდგომლობით მიმართეს მელითონეთა კავშირს, რომ ბათომში არსებული მრეწველობა, როგორიც არის ნავთის გადმოსაქაჩი განყოფილება და ნავთის საქარხნო გადაცემულ იქნას მათ განკარგულებაში.

წითელ ჯარში

სამხედრო რევტრიბუნალში.

ქართულ დივიზიასთან არსებულ სამხედრო რევტრიბუნალის მიერ იქნება გარჩეული საჯარო სხდომაზე იმავე ტრიბუნალის დარბაზში (სასამართლოს ქუჩა № 32) შემდეგი საქმეები: ა-წ. 10 ივლისს, დილის 9 საათზე. ძირითად სამოსწავლო ათასეულის წით. მოლაშქრის ვარლამ ფილიპეს ძე კიკაჩეიშვილის, რომელსაც ბრალი ედება ქურდობაში, რა ბოროტმოქმედებაც გათვალისწინებულია სის. სამ. კოდ. 187 მუხ. მე 3 ნაწ.

უმცროს მეთაურთა სკოლის მოსამზადებელ უწყობრო გუნდის წით. მოლაშქრის გიორგი გზუკაშვილის, რომელსაც ბრალი ედება დეზერტირობაში, რა ბოროტმოქმედება გათვალისწინებულია სის. სამ. კოდ. 210 მ. 1 ნაწ.

ა.-წ. 11 ივლისს, დილის 9 საათზე, ცხენოსან ლეგიონის წით. არმიელ ვალერიან სვანიძეს, რომელსაც ბრალი ედება სახმარებლად მიცემულ ტანისამოსის მითვისებაში, რა ბოროტმოქმედება გათვალისწინებულია სის. სამ. კოდ. 213 მ. 1 ნაწ.

ცხენოსან ლეგიონის წით. არმიელ. ნიკოლოზ რობიტაშვილის, რომელსაც ბრალი ედება თავის ნებით ნაწილიდან წასვლაში, რა ბოროტმოქმედებაც გათვალისწინებულია სის. სამ. კოდ. 210 მ. 1 ნაწ.

ა.-წ. 12 ივლისს, დილის 9 საათზე, თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის კომენდანტის ვასილ ალექსანდრეს ძე კობახიძის, რომელსაც ბრალი ედება სახაზინო ნივთების მითვისება-გაფლანგვაში, რა ბოროტმოქმედება გათვალისწინებულია სის. სამ. კოდ. 116 მ. 1 ნაწ.

ა.-წ. 13 ივლისს, დილის 9 საათზე, სამოსწავლო ათასეულის წით. არმ. ნოე კაციტაძის, რომელსაც ბრალი ედება გუშაგობის დროს დინამიტების მოპარვაში, რა ბოროტ-მოქმედება გათვალისწინებულია სის. სამ. კოდ. 187 მ. პუნ. „ვ" და 214 მ. მე 4 ნაწ.

ა.-წ. 16 ივლისს, დილის 9 საათზე, ქართულ ცხენოსან ლეგიონის ფურაჟირის ილია მჭედლიშვილის და მთავარი სასურსათო საწყობის მუშების ალექსი ტალიაშვილის, ილო ოთარიკაშვილის, კარაპეტა ხარაზოვის, შაქრო მატინოვის და ამბარცუმ კაზაროვის, რომლებსაც ბრალი ედებათ სახაზინო ქონების გაფლანგვაში, რა ბოროტმოქმედებაც გათვალისწინებულია სის სამ. კოდ. 116 მუხ. 1 ნაწ., 15 მ. და 188 მ.

დეზერტირების წინააღმდეგ.

ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტ-განყოფილების მზადება დეზერტირობის წინააღმდეგ კამპანიის ჩატარებისათვის დამთავრდა. გამომუშავებულია მუშაობის გეგმა, ნაწილებისადმი ცირკულიარები უკვე დაგზავნილია დამზადებულია შესაფერი პლაკატები და მოწოდება-ლოზუნგები.

შეერთებული სკოლები.

ქართულ შეერთებულ სკოლის კურსანტებმა და მუდმივმა შემადგენლობამ გადასწყვიტეს გადადონ 6 თვის განმავლობაში ხუთ-ხუთი პროცენტი თავის ჯამაგირისა უმაღლეს სასწავლებლის სახელობის (ვუზ) ის აეროპლანის აშენებისათვის.

ამავე მიზნით კლუბის მიერ გაიმართა ორი საღამო, რომლებმაც დასტოვეს 55 მილიონი მანეთი (წმინდა მოგება) ასეთი საღამოები კიდევ მოეწყობა. შემოსული ფული გადაეგზავნება ცენტრალურ კომისიას მოსკოვში.

ექსკურსია.

9 ივლისს სასკოლო განყოფილების მიერ მოეწყობა საკავშირო ასეულის წითელ არმიელებთან ერთად გეოლოგიური ექსკურსია ამხ. თათარიშვილის ხელმძღვანელობით. ექსკურსიის წინ გამართული იქნება წითელ არმიელებთან საუბარი, სადაც ამხ. თათარიშვილი გააცნობს წითელ არმიელებს მომავალ ექსკურსიის მნიშვნელობას.

საღამო.

შაბათს 8 ივლისს, ცენტრალურ წითელ არმიელთა კლუბში დეზერტირების წინააღმდეგ კამპანიის კვირეულის აღსანიშნავად, გამართული იქნება საღამო, სადაც წარმოდგენილი იქნება ალექსანდრე გორელის პიესა: „ხვედრი დეზერტირისა" და შემდეგ კი სიმღერები. ძალებს იძლევა კულტ-შეფი.

ფუტბოლის კამანდა.

ერთი კვირა იქნება, რაც მეორე ლეგიონის ფუტბოლის კამანდაა ჩამოსული ქ. თბილისში. კამანდა ფრიად მომზადებული აღმოჩნდა და თავისი თამაშით თავი ისახელა. ამ ცოტა ხანში ის უკანვე დაბრუნდება.

სასკოლო საქმე.

სასკოლო საქმე საავიაციო დივიზიაში, სადაც არის მხოლოდ 6 წერა-კითხვის უცოდინარი წითელ არმიელი, კარგათაა დაყენებული. მასწავლებელი—წითელ არმიელი ერთობ მონდომებულია, რომ საქმე კარგათ დააყენოს.

ლიკვიდაცია წერა-კითხვის უცოდინარობისა მოხდება 20 აგვისტოსათვის,

ქრონიკა

— **განმარტება ა. კ. შრომის სახ. კომისარიატისა.** უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია, რომ ზოგიერთი ორგანო ცდილობს დასადებ კოლექტიურ ხელშეკრულებით გაადიდოს რიცხვი იმ თანამდებობისა, რომლებზედაც მიღება შეიძლება შრომის ბირჟის გარეშე—შემდგომი რეგისტრაციით, რის გამო ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს, რომ თანამდებობათა სიის არც გაფართოება და არც შემცირება შეიძლება კოლექტიურ ხელშეკრულებებში ამისათვის სათანადო მუხლების ჩართვით. ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1923 წლის 13 მარტის თარიღით—უმაღლეს კვალიფიკაციის და აგრედვე ქონებრივ პოლიტიკურ და პირადი ნდობის საჭიროების პირთა დაქირავების წესის შესახებ გამოქვეყნებული დადგენილება № 39 ს მე 6 ე მუხლის თანხმად, ადგილობრივ შრომის ბაზრის პირობების მიხედვით სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებისათვის აღნიშნულ სიის გაფართოება ან შემცირება შეუძლია შრომის ბირჟათა კომიტეტებს, რაც დამტკიცებულ უნდა იქმნას ა.-კ. ფედერაციის შრომის სახ. კომისარიატის მიერ.

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარი
იაკუბოვი.
სრ. რუს. პრ. კავშ. ცენტ. საბჭოს ა.-კ. ბიუროს თავმჯ. კურულოვი.

სხვა და სხვა.

— **საერთაშორისო კოოპერაციის დღის გამო.** დღეს, 7 ივლისს საერთაშორისო კოოპერაციის დღის გამო ა.-კ. მომხ. საზოგადოების რკინის გზის კოოპერატივებში წევრებზე საქონელი გაიყიდება 15 პროც. დაკლებით.

— **ელექტრონის სადგური.** მიწადმოქმედების კომისარიატთან არსებული ელექტრონის სადგურის შეკეთება დასრულდა. სადგური ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას.

— **ამხ. კამოს ძეგლი.** ქალ. ალმასკომის კომ. განყოფილებამ დაადგინა ამხ. კამოს საფლავზე აგოს ძეგლი, მოქანდაკე ი. ნიკოლაძის გეგმის მიხედვით.

— **ქალაქის საავადმყოფოებისათვის** ალმასკომმა მოსკოვიდან მიიღო ქალაქის საავადმყოფოებისათვის 1000 ცალი თბილი საბანი.

— **ბალახის წამლეულობა.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საფრანგეთის ბურგეს ფირმიდან მიიღო შუამდგომლობა ა.-კავკასიაში სამკურნალო ბალახების შეძენისათვის უფლების მიცემის შესახებ.

— **გადასახადი ტელეფონზე.** 1 ლ ივლისიდან სატელეფონო გადასახადი მიღებული იქნება ჩერვონცის კურსით.

— **დიდი გვალვა ქვემო-იმერეთში.** ქვემო-იმერეთიდან მიღებულ ცნობებით, იქ ამჟამად დიდი გვალვებია, რამაც საგრძნობლად დააზიანა ნათესები და მცენარეულობა.

— **სიმინდის დამზადება.** ცეკავშირი შეუდგა სიმინდის შესყიდვას საქართველოს სხვა და სხვა მხარეში; ჯერ-ჯერობით სიმინდის შესყიდვა სწარმოებს ფოთში, სენაკში და სამტრედიაში. უკვე შესყიდულია 900 ფ. სიმინდი.

— **საღამო წ.-არ. კლუბში.** დღეს, 7 ივლისს, წითელ-არმიელთა ცენტრალურ კლუბში გაიმართება საღამო.

გამომცემლობა.

— **გამოვიდა ჟურნალი „მომავალი" № 6 (13)** ჟურნალი ძველი ფორმატისაა და შეიცავს 90-გვერდს. ჟურ. შინაარსი: 1) სამარცხვინო ბოლო, 2) გადაუჭრელ წინააღმდეგობათა კვანძი—კ. გორდელაძე, 3) ჩემი რევოლიუციონური წარსული—კ. ცინცაძე, 4) ახალგაზრდათა კომკავშირის მდგომარეობა—ვ. გოგეშვილი, 5) რელიგია და ადამიანის გაჩენის საკითხი. გ. გოგიბერიძე, 6) რელიგია, ფილოსოფია, და მეცნიერება—კოსოლი, 7) მგზავრობა სახარაზე. ა. მაშაშვილი, 8) გილიოტინა—სეზმან ერთაწმინდელი, 9) მზეზე—ა. მაშაშვილი, 10) გველი საყურით, ს. ერთაწმინდელი, 11) აბესალომ და ეთერი—ვასილ ბარნოვი, 12) პაწია, პროვინციალურ ქალაქში—ა. მ—ლი, 13) მუნჯი—ა. მ—ლი, 14) ელო—ს. ერ—ლი, 15) ლიტერატურული კრიტიკა და მხატვრული შემოქმედება. გ—ლი, 16) ბაირონის პესიმიზმის სოციალური საფუძვლები—ი. ვაშალომიძე, 17) ნაწყვეტი სოციალურ პოეზიიდან, ვ. ლუარსაბიძე. ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე წერილები: საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეზე, მეცნიერება და ტეხნიკაზე, სპორტზე და მსოფლიოს ეკონომიურ ვითარებაზე.

შესწორება.

ამხ. ერქომაიშვილის საპასუხო ჩემს მოკლე განმარტებაში (იხ. „კომუნისტი" № 153), იქ, სადაც ლაპარაკია საერთო სამოქალაქო გადასახადზე—გამომრჩა აღმენიშნა: რომ 1 ივლისამდე 1923 წლ. **საქართველოში შემოსულია საერთო სამოქალაქო გადასახადის სახით 161 მილიარდი მანეთი.**

ბ. ბიბინეიშვილი.

გარბიან მენშევიკურ პარტიიდან

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ შემდეგი:

მე ვითვლებოდი სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში 1897 წლიდან.

1921 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებიდან ფორმალურათ და 1922 წლის ივლისის პირველ რიცხვებიდან ფაქტიურათ დავტოვე ეს პარტია და მასთან არავითარი კავშირი არა მაქვს. ვიმყოფები რა ამ ჟამად ყოველგვარ პარტიის გარეშე, ვაცხადებ, რომ მე ვდგევარ „კომუნისტურ მანიფესტის" ნიადაგზე, და ყველა აქედან გამომდინარე ნაბიჯები კომუნისტური პარტიისა მისაღებათ მიმაჩნია.

ა. ი. ფარნიევი.

ქ. თბილისი.
1923 წელი, 6 ივლისი.

—

ამხ. რედაქტორო, გთხოვთ გამოაცხადოთ შემდეგი:

1903 წლიდან ვითვლებოდი მენშევიკურ პარტიაში. ეხლა კი დავრწმუნდი, რომ მენშევიკების პარტია მუშაობდა ბურჟუაზიასთან ერთად, რასაც ეხლაც განაგრძობს უცხოეთში და ამიტომ ვკიცხავ ჩემს წარსულს, გამოვდივარ მენშევიკურ პარტიიდან და სიკვდილამდე ვიქნები მუშურ კომუნისტურ პარტიასთან. ზიზღი მენშევიკებს.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას.

ვანო ნიკოლაიშვილი.

ვუერთდები—მენშევიკური პარტიის წევრი 1917 წლიდან [illegible] ნიანცი.

გამოვდივარ მენშევიკების პარტიიდან (წევრი 1917 წლიდან) გ. ი. ნატრაძე.

—

ამხ. რედაქტორო, გთხოვთ მომცეთ საშვალება შემდეგი გამოვაცხადო:

მე, ქალ. ტფილისის სამხედრო კომისარიატის სტამბის მუშა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოფილი წევრი, ვაცხადებ, რომ მე ვითვლებოდი აღნიშნულ პარტიაში 1904 წლიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ამ დღიდან კი გავსწყვიტე ყოველივე კავშირი ამ პარტიასთად და დავრწმუნდი, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება იცავს მუშების ინტერესებს და ამტკიცებს მუშათა კლასს, რისთვისაც მასთან ერთან ვიმუშავებ სრულ გამარჯვებამდე.

გაუმარჯოს მუშათა კლასს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას.

გრიგოლ არსენაშვილი.

—

ამხანაგო რედაქტორო, ნება მომეცით საჯაროთ განვაცხადო:

1917 წლიდან საქართველოს გასაბჭოებამდე მე შევდიოდი მენშევიკების სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

ეხლა კი მე დავრწმუნდი, რომ მუშების და გლეხების ერთად-ერთი დამცველი არის კომუნისტური პარტია.

ვ ნატაშვილი.

რეზოლიუცია

გამოტანილი ყოფილ მენშევიკურ პარტიის წევრების კრებაზე 5 ივლისს

(ნავთლუღი)

ჩვენ, ნავთლუღის რაიონის რკ. გზ. და ქალაქის სასაკლაოს მუშები, რომლებმაც დავგმეთ მენშევიკების პოლიტიკა და გამოვედით მათი პარტიიდან, განვიხილეთ რა მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუცია პარტიის გახრწნის შესახებ, დიდ აღშფოთებას გამოვსთქვამთ და ერთხელ კიდევ მთელი მშრომელი ხალხის გასაგონათ ვაცხადებთ: ჩვენ დავტოვეთ მენშევიკური პარტიის რიგები მას შემდეგ, რაც დავრწმუნდით, რომ მენშევიკური პარტია გადავიდა პროლეტარიატის თვალსაზრისიდან და მიეყიდა საერთაშორისო კაპიტალს, რაც მენშევიკური პარტიის ბელადები შეუერთდენ ყაჩაღებს, საქართველოს მშრომელი ხალხის სისხლის მსმელ ეროვნულ დემოკრატებს, თავადაზნაურობას და სხვა ჯურის შავრაზმელებს, რომლებთან სოლიდარობა გამოიხატა მათ მიერ დაარსებულ პარიტეტულ კომიტეტში დ მათთან ხელი-ხელ ჩაკიდებული განაგრძობდენ ხელის შემშლელ მუშაობას საქართველოს მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ.

მენშევიკების ცენტრალურმა კომიტეტმა იმ მუშებსა და გლეხებს, რომლებმაც დავტოვეთ მენშევიკური პარტია და ხელი ავიღეთ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზე, გვიწოდეს გამცემლები, საქართველოს ერის მოღალატეები.

ჩვენ ისინი გვნათლავენ მოღალატეებათ მისთვის, რომ თავი დავახწიეთ იმ საშინელ ნაციონალისტურად და შოვინისტურათ გაჟღენთილ ატმოსფერას, რომელიც გაამეფა სამი წლის ბატონობის დროს მენშევიკურმა პარტიამ. დავწყვიტეთ რა ის ვიწრო რკალი, რომელიც გასჭედა მენშევიკურმა პარტიამ, მასთან ერთად ჩვენ ხელი გაუწოდეთ რუსეთის ძლიერ პროლეტარიატს და მათის მეოხებით შევსძელით გაგვეფანტა ის მოწამლული ატმოსფერა, რომელიც ხელს უშლიდა ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის მთლიანობას. დღეს მათთან ძმურ კავშირში შესულნი ფიცსა ვსდებთ, როგორც ერთი მეორესთან, ისე საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე, რათა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ სოციალისტური რევოლიუციის გასამარჯვებლათ.

ჩვენ მოუწოდებთ ყველა პატიოსან რევოლიუციონერ მუშებს, რომლებიც ჯერ-კიდევ არ გამორკვეულან და ყოყმანობენ, თვალი გადაავლონ მენშევიკურ პარტიის მოქმედებას, ნათლად დაინახონ მუშათა გამცემლური პოლიტიკა, რომელსაც ისინი აწარმოებენ დღესაც, ზურგი შეაქციონ ამ მოღალატეებს, ერთხელ და სამუდამოთ დადგენ პროლეტარული რევოლიუციის მხარეზე და შეუერთდენ იმ ერთად ერთ მუშათა ავანგარდს, რომელსაც წარმოადგენს კომუნისტური პარტია.

ჩვენ დროულათ მიგვაჩნია დავსვათ საკითხი მენშევიკური პარტიის შემდეგი არსებობის შესახებ, იმ პარტიის, რომლის „ცენტრი" კიდევ განაგრძობს ლაპარაკს საქართველოს მშრომელი მასის სახელით ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროთ ვსცნობთ მოწვეული იქნას იმ ამხანაგების კონფერენცია, რომლებმაც ზურგი შეაქციეს მოღალატე მენშევიკურ პარტიას. ამ კონფერენციაზე დღის სინათლეზედ უნდა იქნეს გამოტანილი ყველა ის მოქმედებანი, რომლებითაც თავი ისახელა მენშევიკურმა პარტიამ სოციალისტური რევოლიუციის წინააღმდეგ. კონფერენციის მოსაწვევათ საჭიროა არჩეული იქნას ჩვენგან საინიციატივო ჯგუფი.

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა დიქტატურას და მის გამოხატულებას—საბჭოთა ხელისუფლებას.

გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას.

გაუმარჯოს კომინტერნს.

პროვინციაში

გორის თემი (გორის მაზრა)

თუმცა ბატონობა დიდი ხანია გადავარდა საქართველოში, მაგრამ მისი გამხრწნელი და გამათახსირებელი ზეგავლენა, მაინც ძლიერად დარჩა ქართლის ზოგიერთ სოფლებში. ერთი ამ სოფელთაგანი არის სოფელი კარალეთი. იგი მდებარეობს მდ. ლიახვის მარცხენა ნაპირას, როგორც ლიახვის ხეობას შეჰფერის, ეს სოფელიც მეტად უხვად არის დაჯილდოვებული ბუნების მხრივ.

ამ სოფელში ცხოვრობს 397 კომლი. ქართლის სოფლებში, როგორც გადმოგვცემს მატიანე, კარალეთი ოდესმე ითვლებოდა ერთ სახელოვან სოფლად. თუ გაიხსენებთ ეს ის სოფელია, რომლის წარმომადგენელმა სხვათა შორის ჯერ კიდევ მეცამეტე საუკუნეში აკუტელ მესადურის მეთაურობით თამარ მეფეს წარუდგინა მოთხოვნილება: „სახელმწიფო საქმეებს უნდა აწყობდეს და მართავდეს ერი და არა თვითეული პიროვნება". და ამნაირად „პარლამენტარულ" წესწყობილებას ითხოვდენ საქართველოში.

მუშათა ცხოვრება

ავტო სახელოსნო № 1

(ს. მ. უ. ს. ლითონის განყოფილებისა).

აღნიშნულ ავტო-სახელოსნოში 131 მუშა-მოსამსახურეა.

ჯამაგირს მუშები თავის დროზე იღებენ მხოლოდ სამწუხაროდ აქ კოლექტიური ხელშეკრულება სავსებით არ სრულდება:

მუშებს უნდა მიეღოთ სპეც-ტანისამოსი, მაგრამ დღემდე არაფერი სჩანს.

ადმინისტრაციასთან იყო სხვა კონფლიქტებიც, მაგრამ მშვიდობიანად და დადებითად დასრულდა.

კულტმუშაობის საქმე აქ კარგ ნიადაგზე სდგას.

მთელს სახელოსნოში 4 წერა-კითხვის უცოდინარია. ისინი სწავლობენ სათანადო სკოლაში. მოკლე ხანში დაასრულებენ მეცადინეობას და შემდეგ 1-ლ საფეხურის სკოლაში გადავლენ.

მუშებს აქვთ კლუბი ავტო სახელოსნოს № 3 ერთად, სადაც იმართება ლექციები და საღამოები. მუშა-მოსამსახურენი დიდის ინტერესით ეპყრობიან კულტურულ საქმეს.

მუშებს გამოწერილი აქვთ გაზეთები.

მუშკორი კ—ა.

ქალაქის გარაჟში

ტფილისის აღმასკომის გარაჟში რამოდენიმე თვის წინედ ერთობ ბევრი დეფექტები იყო თავმოყრილი.

ეს ჩვენი გაზეთის ფურცლებზედაც იყო აღნიშნული.

ამ ჟამად დასახელებულ გარაჟში ყველა უარყოფითი მხარეები, რომელიც ეწინააღმდეგებოდა როგორც შრომის დაცვის, ისე შინაური წესრიგის კანონების დაცვას, საკმაოდ მოსპობილია.

ეხლა ჯამაგირები მუშებს არამც თუ თავის დროზე, უფრო ადრეც ურიგდებათ.

მუშებს არ ქონდათ ხელსაბანი და მისი მოწყობილება ეს დღეს უკვე ეწყობა.

გარაჟს არ ქონდა სავსებით ფეხისალაგი, რაც დაუშვებელი იყო, ეს დღეს უკვე არის.

ყველა ამ მიღებულ ზომებიდან სჩანს, რომ გარაჟის ადმინისტრაციამ საჭირო ანგარიში გაუწია გაზეთში მოთავსებულ შენიშვნებს.

მუშკორი ძველთაგანი.

მუშების არტელს ესაჭიროება დახმარება

(შრომის კომისარიატის საყურადღებოდ).

პლეხანოვის პროსპექტზე (№ 29) არსებული ამხ. „კამოს" სახელობის სამკერვალო არტელი ამ ჟამად დიდ კრიზისს განიცდის.

მას სამუშაო ამ ჟამად ძალიან ცოტა აქვს და ეძნელება თავის არსებობის შენარჩუნება.

დასახელებული არტელი აერთიანებს 18 მუშას. ისინი ნამდვილი პროფესიონალური მუშებია და იციან თავიანთი საქმე.

შრომის კომისარიატმა აღმოუჩინა მათ შესაფერისი დახმარება ბინის აღმოჩენით.

ნახევარი წელიწადია, რაც ამ არტელს არ გადაუხდია შენობის ქირა და დღეს ისე შესუსტებულია მისი მეურნეობა, რომ არც შეუძლია გადიხადოს ეს ქირა.

ამიტომ რომ არტელის არსებობას არ მოეღოს ბოლო, საჭიროა მისთვის შენობის ქირის პატიება, რომლის შესახებაც, იმედია შრომის კომისარიატი შეძლებისადაგვარად, არტელს აღმოუჩენს დახმარებას.

მუშკორი ჩხმელი.

კულტ-მუშაობა ასანთის ქარხანაში.

აღნიშნულ ქარხნის მუშები პოლიტიკურ მეცადინეობას ეწევიან, ამხ. ლენინის სახელობის თუთუნის ფაბრიკის მუშებთან ერთად საერთო პოლიტიკურ წრეებში.

რადგან ფაბრიკაში წიგნები ძალიან ცოტა აქვთ, მუშებს ასეთები გამოაქვთ ცენტრალურ მუშათა კლუბიდგან და აკაკი წერეთლის სამკითხველოდგან.

გაზეთები მოსდით სისტემატიურად კავშირიდგან 6 ცალი და კოლექტიური ხელმოწერით, ადგილობრივი, ქართული, რუსული და სომხური 11 ცალი.

ამას გარდა ქარხანაში, წ. კ. უცოდინარობა მოსპობილია და გახსნილია 1-ლ საფეხურის სკოლა.

მუშები თითქმის ყველა მთლიან მუშათა კოოპერატივის და ცენტრალურ მუშათა კლუბის წევრებიც არიან.

მუშკორი მ. ხე—ძე.

მუშათა ქრონიკა.

— **სავარჯიშო დარბაზი**. კულტგანყოფილებამ აღძრა შუამდგომლობა რათა საკავშირო უჯრედებს მიეცეთ უფლება „სპარტაკის" განკარგულებაში მყოფ სავარჯიშო დარბაზით სარგებლობისა.

— **მუშათა ფაკულტეტზე მიღების პირობები**, საქ. მუშფაკზე არსებულ დებულების თანახმად ჩაირიცხებიან მხოლოდ ის ამხანაგები, რომელთაც უცხოვრიათ თავისი შრომით არა ნაკლებ 3 წლისა პარტიულ ამხანაგთ 2 წლ. პარტ სტაჟთან ერთად უნდა ჰქონდეთ 1 წლის ფიზიკური სტაჟი.

— **მუშფაკის კურსის დასრულების დრო** მუშ.ფ-კზე სრული კურსის გავლის დრო ნაცვლად წინანდელი სამი წლისა განისაზღვრება 4 წლით. იმ მოსაზრებით, რომ წარსულ წლების პრაქტიკამ ნათელჰყო 3 წლის განმავლობაში კურსის საფუძვლიანი გავლის შეუძლებლობა

— **სახელმძღვანელოები მუშფაკელებისათვის**. კულტგანყოფილება უკვე შეუდგა კავშირში ფულის შეგროვებას და სახელმძღვანელოების შეძენას მუშფაკელებისათვის იაფ-ფასებში დასარიგებლად.

— **სტიპენდიები მუშფაკელებისთვის** კულტ-განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა განათ. სახ. კომ, წინაშე დანიშნოს მუშფაკულტეტებზე 200 სტიპენდია.

ეს ის სოფელია, რომლის ერთმა წარმომადგენელმა მე-17-ე საუკუნეში სპარსეთის ცნობილ დესპოტის შაჰ-აბაზის კარზე მონობაში ფუფუნებით ცხოვრებას, თავისუფალი სიღარიბე არჩია („ვაიმე, ჩემო კარალეთო ჩალაო!")

ხოლო მას შემდეგ, რაც ჩვენ ქვეყანას თავისუფლების სიომ დაჰბერა, კარალეთიც შეუდგა შეგნებულ და თავისუფალ ცხოვრებას.

ამ მხრივ ქართლის სოფლებს დიდ სამსახურს უწევს ადმინისტრაცია. იგი არ სტოვებს არც ერთ შემთხვევას, არამედ ყოველთვის მთელი თავის ძალღონეს ახმარებს ხალხის გამოსაფხიზლებლათ.

აღნიშნულ თემის თავმჯდომარემ ლ. ქურდაძემ და ინსტრუქტორმა ეპ. სიამაიშვილმა ინახულეს ეს სოფელი მიმდინარე წლის 26 თიბათვეს, შეჰყარეს აუარებელი ხალხი და გამართეს მიტინგი.

მიტინგზე ბევრი რამ იქნა წარმოთქმული საყურადღებო, მაგრამ უფრო დიდის ყურადღებით მოისმინა ხალხმა ის დასურათება მენშევიზმის გახრწნისა, რომელზედაც ამხ. ეპ. სიამაიშვილი მთელი საათი შეჩერდა. აღნიშნულმა ორატორმა მეტად ხელოვნურად გააშუქა ფაქტები, თუ რა როლი ითამაშეს მენშევიკებმა რუსეთის 1917 წლის მარტის რევოლიუციაში, რა უხეშად აქციეს ზურგი მუშათა და გლეხთა კლასს და როგორ უსირცხვილოდ გადავიდნენ ბურჟუაზიულ ბანაკში. როგორ ოსტატობით და თვალმაქცობით მოსწყვიტეს რუსეთის მშრომელ ხალხს ამიერ-კავკასია, დააარსეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა. შემდეგ კი სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკა (საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანი). როგორ გააღვივეს ამ რესპუბლიკათა შორის ნაციონალური შუღლი და მტრობა.

თუ ვინმე ამოიღებდა ხმას მუშათა და გლეხთა ინტერესების დასაცავად, მას მაშინვე უკრავდნენ თავს ციხისაკენ. ვინ იცის, რამდენი ძლიერი ძალა მოსპეს ტყუილ უბრალოდ, რამდენი მოწინავე პიროვნება გამოასალმეს წუთისოფელს, რამდენი ამხანაგი გამოალპეს ციხეების საკანში, რამდენი ცოცხლად დასწვეს...

მაგრამ სინამდვილის დაჩქმალვა ძალმომრეობას არ შეუძლიან.

დაეცხო მენშევიკთა ბატონობა, გამოცხადდა საბჭოთა წესწყობილება, რომელმაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მშრომელთა კლასი შეადუღა რუსეთის მშრომელ ხალხთან. გარდახვეწილი მენშევიკების პარტიის ბელადები მაინც არ სცხრებიან. ევროპაში კერზონთან და პუანკარესთან ეძიებენ ძალას, რათა მათი შემწეობით კვლავ დააქციონ საქართველოში მშრომელი ხალხის სისხლი, კვლავ ააწიოკონ და აატირონ დედები, კვლავ დააობლონ მისი შვილები, მაგრამ მშრომელი ხალხი ფხიზლად თავისი ინტერესების სადარაჯოზე სდგას და წყალწაღებულ პარტიის ბელადებს არ გააჭაჭანებს საქართველოს მიწა-წყალზე.

დიდის ყურადღებით ისმენდა ხალხი ამ სიტყვებს.

დასასრულ ერთხმად იჭექა: „ზიზღი მოღალატე და გამყიდველ მენშევიკურ პარტიას და სიძლიერე საბჭოთა ხელისუფლებას!"

ამგვარივე მიტინგების მოწყობას აპირებენ აღნიშნული პირები გორის თემის სხვა სოფლებშიც.

გ.

ზუგდიდის მაზრა

ზუგდიდის მაზრის გლეხობა სრულიად შეგნებულათ იცავდა ანტირელიგიური კამპანიის ჩატარებას. კამპანია ტარდებოდა დაკვირვებით. გლეხობის თვალწინ იქნა გახსნილი „ყოვლად შემძლე" ხატები სხვა და სხვა „წმინდანთა" და მათი სხეულის ნაწილები, რომელთა ნაცვლად გლეხობამ დაინახა სანთელი, ქინქები და ფუტურო ფიცრის ნაჭრები. მათთვის ამ სამი წლის განმავლობაში ახსნილ და განმარტებულ იქნა, თუ რა არის სარწმუნოება, ვისთვის არის ის და ვის იცავს.

მაგრამ ნათელყო ყველაფერი „წმინდანების" გახსნამ, რომელმაც გლეხობა დაარწმუნა, რომ მართლაც სარწმუნოება იყო სიყალბეზე აგებული, ბასრი იარაღი ბურჟუაზიის ხელში, მუშების და გლეხების დასამონებლად მათი გონების დასამორჩილებლად. გლეხობა სრული შეგნებით მიდიოდა ეკლესიების დასახურავად და სამღვდელოების საეკლესიო სახლებიდან გამოსარეკავად; სოფლის კრებებზე გამოქონდათ რეზოლიუციები ეკლესიის დახურვის შესახებ. დღეს ვხედავთ, რომ ზუგდიდის მაზრაში არ არის არც ერთი ეკლესია. რას ვხედავთ ჩვენ ეკლესიების ნაცვლად? სამკითხველოებს, თეატრებს და სხვა ადამიანურ დაწესებულებებს. ჩხოროწყუს რაიონში გაშენებული არის ეკლესიებიდან თეატრი, სადაც ყოველ კვირაობით იმართება წარმოდგენები ს. საჯიჯაოში, დარჩელში, ხობში, ლიაში, კორცხელში და სხვა რაიონში მიღებული არის ყოველნაირი ზომები გადაკეთდეს ეკლესიები საკრებულო დარბაზებად. ქ. ზუგდიდის ყოფილ სობოროში განზრახული არის მოეწყოს მუშათა კლუბი.

„წმინდა" ჯვრის ნაცვლად ყოფილ ეკლესიების გუმბათზე ფრიალებს წითელი დროშა.

ვ. ჩ—ძე.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო, გთხოვთ თქვენს გაზეთში მოათავსოთ ეს ჩემი განცხადება:

მე ვიყავი სამხედრო კომისარი და 1913 წლიდან საბჭოთა წესწყობილების დამყარებამდე, შევდიოდი ფედერალისტების პარტიაში, შემდეგ კი გამოვედი ამ პარტიიდან და სავსებით დავრწმუნდი, რომ კომუნისტური პარტია არის მუშათა კლასის ინტერესების დამცველი.

ვასილ ბოლქვაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისათვის უკიდურესი განაკვეთის დაწესების შესახებ საჩერვონცო მანეთით

1923 წ. ივნისის „29".

ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების უკიდურესი განაკვეთის მოწესრიგებისათვის საჩერვონცო მანეთობით—ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რ. ს. პ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საერთო-სახელმწიფოებრივი, სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ბიუჯეტისათვის მიკუთვნებულ ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის შესახებ 1923 წ. აპრილის 2 თარიღით გაცემული დეკრეტის („ზარია ვოსტოკა" 1923 წ. აპრილის 12 № 81) მე-2 კარის მე-3 თავის, მე-6 მუხლით გათვალისწინებული განაკვეთის შესაცვლელად—დაწესებულ იქნეს შემდეგი უმაღლესი უკიდურესი განაკვეთი საჩერვონცო მანეთობით ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისათვის.

1. **ზიდვა-ტარების მრეწველობისათვის სეზონში ზიდვა-ტარებაში მომუშავე ცხენზე და საქონელზე:**
ა. ქალაქად (მე-6 პ.). . . 7 მან.
ბ. ქალაქ-გარე დასახლებულ ადგილას (მე-5 პ.) 2 მ.—50 კ.

2. **საეტლო ცხენებისა და ეტლებისათვის ნახევარ წლობით.**
ა. ქალაქად—(მე-8 პ.) ცხენზე და ეტლზე . . . . . . 14 მან.
ბ. ქალაქ-გარე დასახლებულ ადგილას (მე-9. პ.):
ცხენზე და ეტლზე. . . 5 მან.
ეტლზე . . . 2 მ. და 50 კაპ.

3. **ველოსიპედისა და თვითმოძრავი ეტლისათვის ნახევარწლობით:**
ქალაქად (მე 9 პ.) და ქალაქ-გარე დასახლებულ ადგილას (მე 8 პ.):
ა. ველოსიპედზე . . 1 მ. და 50 კ.
ბ. თვითმოძრავ ეტლისა და მოტორიანი ნავჭურჭლის თვითეულ ძალაზე . . . . . 2 მ. და 30 კ.
გ. იახტაზე . . . . . 18 მან.
დ. ტვირთმზიდავის თვითეულ ძალაზე . . . . 1 მან.

4. **ბაზარზე გასაყიდად მორეკილ საქონლისათვის ქალაქად (მე-11-ე მუხ.).**
ა. თვითეულ მსხვილფეხა საქ. 50 კ.
ბ. თვითეულ წვრილფეხა საქ. 10 კ.

5. **საქონლისა და სხვა შინაური ცხოველთათვის ქალაქად (მე-11 პ.). ნახევარ წლობით:**
ა. თვითეულ სხვილფეხა საქ. 1 მ.
ბ. თვითეულ წვრილფეხა საქ. 20 კ.
გ. ძაღლზე . . . 1 მ.

6. **იმ პირთათვის, რომელნიც საშინაო საჭიროებისათვის დაქირავებულ შრომას გამოიყენებენ—ნახევარ წლობით—ქალაქად (მე-14 პ.).**
ა. ერთ მსახურზე . . 5 მ.
ბ. ერთ მსახ. მეტისათვის 14 მ.

7. **პლაკატისა, აფიშისა და განათებული რეკლამისათვის ქალაქად (მე-16 პ).**
ა. პლაკატზე და აფიშაზე თვითეული ათასი ცალის ერთი ოთხკუთხი ვერშოკისათვის . . 2 კ.
ბ. განათების რეკლამაზე —რეკლამის თვითეული ვერშოკისათვის—თვიურად . . 4 კ.

8. **გამოსაღები საზოგადოებრივი სასწორის სარგებლობისათვის.**
ა. ქალაქად (მე-17 პ.) ფუთზე 2 კ.
ბ. ქალაქ-გარე დასახლებულ ადგილას (მე 6 პ.) . . 1 კ.

9 **საჩასაწერო გამოსაღები თვითეული ჩაწერისათვის**
ქალაქად (მე-20 პ.) . . 10 კ.

11. ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა ცალკე ინსტრუქციით უნდა შეიმუშაოს წესი ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების საჩერვონცო განაკვეთის ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებზე გადატანისა ამ გადასახადის გადახდევინების დროს საკოტერო კომისიის კურსის მიხედვით.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

ცირკულიარული.

ყველა მაზრის, ქალაქის და ავტონომიურ ერთეულთა აღმასკომებს. გლეხების საურთიერთო დამხმარე კომიტეტის შესახებ.

როგორც ს. ს. ს. რესპუბლიკის სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი, იუწყება 27 ივნისის თარიღით № 823, ა. წ, 1-ლი ივლისიდან ის შეუდგება მთელ საქართველოში საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტების მოწყობის კამპანიას. ვინაიდან ზემოაღნიშნული კამპანიის მოწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელი გლეხობისათვის, ამისათვის წინადადება გეძლევათ: დაავალოთ თქვენდამი რწმუნებულ ყველა ადგილობრივ დაწესებულებას და კერძო პირს მიიღონ მხურვალე და აქტიური მონაწილეობა კამპანიის ჩატარებაში და აარჩიონ თავისი წარმომადგენლები სამაზრო კომისიებში. სამაზრო კომისიები ეწყობა სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მაზრის რწმუნებულთან.

ინსტრუქცია და სხვა მასალები კამპანიის გატარების შესახებ გამოქვეყნდება და გამოგზავნილ იქნება ადგილობრივ სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

საინს.-საინფ. განყოფილებების გამგის მაგიერი **შ. დადიანი.**

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1923 წ. ივნისის 11.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის მოწყობის შესახებ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის შესასწავლად.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება—ამიერ-კავკასიაში ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციისა—კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის შესასწავლად.

1.

ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაცია ამიერ-კავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე (საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის რესპუბლიკები) მიზნად ისახავს როგორც ამ ქვეყნების, ისე ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ყოველმხრივ შესწავლას და აგრეთვე სამეცნიერო და გამოყენებითი ცოდნის გავრცელებას მის შესახებ.

2.

ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის ამოცანას შეადგენს შესწავლა: ა) პოლიტიკურ-ეკონომიური და სოციალური საკითხებისა და ბ) ისტორიულ-ეთნოლოგიური საკითხებისა, რისთვისაც იგი გაჰყოფს თავის სამეცნიერო მუშაობას, ორ სათანადო სექციად.

3.

აღნიშნული სამეცნიერო მიზნების განხორციელებისათვის ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაცია:

ა) მეცნიერული ურთიერთ დახმარების მიზნით, დაიჭერს ურთიერთობას არსებულ სამეცნიერო საზოგადოებათა და ორგანიზაციებთან და იქონიებს მათთან სამეცნიერო და საინფორმაციო კავშირს;

ბ) აღმოუჩენს დახმარებას ორგანიზაციათ და დაწესებულებათ ასოციაციის მიზნების განხორციელების საქმეში, როგორც ადგილობრივ, ისე ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლების გარეშეც;

გ) მოაწყობს სამეცნიერო ექსპედიციებს-ექსკურსიებს;

დ) გამოსცემს თავის შრომათ.

შენიშვნა: ყველა საღრიცხვო და საორგანიზაციო განზრახულება ექსპედიციის მოწყობისა და საგამომცემლო მუშაობისათვის—წარედგინება დასამტკიცებლად, ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

4.

ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციას აქვს თავისი განყოფილებანი საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის რესპუბლიკებში.

5.

ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის წევრად შეიძლება იყოს ყოველი პირი, ვინც მუშაობს ასოციაციის მიზნების სფეროში, თანაუგრძნობს ამ მიზნებს და სასარგებლო იქნება ასოციაციისათვის.

6.

ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის წევრნი განიყოფიან ნამდვილ წევრებად და კორესპონდენტ წევრებად:

ა) ასოციაციის ნამდვილ წევრად შეიძლება იყოს ყოველი პირი, ვისაც აქვს სპეციალური ნაშრომი, ასოციაციის მიზნების სფეროში, ან დაინტერესებულია სათანადო კითხვებით. იგი აირჩევა განყოფილების საერთო კრებაზე განყოფილების ორი ნამდვილი წევრის წერილობითი, დასაბუთებული წინადადებით, ხმის უბრალო უმრავლესობით;

ბ) წევრი-კორესპონდენტი აირჩევა განყოფილების წევრთა საერთო კრებაზე მე 5 მუხლში აღნიშნულ პირთაგან; წევრი კორესპონდენტი მიაწოდებს ინფორმაციას თავის განყოფილებას ყველა საკითხში, რაც უკანასკნელს აინტერესებს, შეასრულებს ცალკე დავალებათ და სარგებლობს სათათბირო ხმის უფლებით.

7.

ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის ყველა საქმეებს განაგებს პრეზიდიუმი ხუთი კაცისაგან; ორს მათგან-თავმჯდომარეს და პასუხისმგებელ მდივანს დანიშნავს ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო სამს გაგზავნის რესპუბლიკანური განყოფილებანი—თვითეული თითოს. პრეზიდიუმი დაასახელებს თავისი წრიდან მეცნიერ-მდივანს და სამეცნიერო სექციების გამგეთ.

8.

ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის პრეზიდიუმი იმყოფება ქ. ტფილისში, მას სისრულეში მოჰყავს მე-3 მე მუხლში ჩამოთვლილი სამეცნიერო დავალებანი და ხელმძღვანელობს განყოფილებათ.

9.

ადგილობრივი განყოფილება აწარმოებს საქმეს და ასრულებს ასოციაციის დავალებათ რესპუბლიკის მასშტაბით, — თანახმად ასოციაციის პრეზიდიუმის ინსტრუქციებისა.

შენიშვნა: ყველა თავის სამეცნიერო მუშაობასა და მასალას, განყოფილება წარუდგენს პრეზიდიუმს.

10.

ასოციაციის თვითეული რესპუბლიკანური განყოფილება აირჩევს გამგეობას სამი კაცისაგან. გამგეობა აირჩევს თავისი წრიდან მეცნიერ—მდივანს, რომელსაც დაამტკიცებს პრეზიდიუმი.

11.

განყოფილებას შეუძლიან, იმ მიზნების ფართოდ შესრულებისათვის, რაც მას დასახული აქვს, როგორც სახელმწიფოთა შესწავლისა, ისე მათ შესახებ სამეცნიერო ცოდნის გავრცელების საქმეში,—მოაწყოს თავისთან ფილიალები და ნაციონალური სექციები.

შენიშვნა: ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის პრეზიდიუმთან, განყოფილება დაიჭერს ურთიერთობას, თავისი მეცნიერი-მდივნის მეშვეობით.

12.

ამიერ კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის პრეზიდიუმს აქვს ბეჭედი წარწერით: „კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის შესწავლის ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაცია ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან".

რესპუბლიკანური განყოფილების გამგეობას აქვს ბეჭედი წარწერით: **„კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის შესწავლის ამიერკავკასიის სამეცნიერო ასოციაცია"—......** განყოფილება.

13.

ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის ფინანსები შესდგება იმ თანხებიდან, რასაც გადასდებს (აღრიცხვით) ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

14.

ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაცია წელიწადში ოთხჯერ გაგზავნის ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში, დაწვრილებითი ანგარიშს თავისი მოქმედებისა დ აგრეთვე მის მიერ დახარჯული თანხების შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის სავალდებულო

დადგენილება № 15.

30 ივნისი 23 წელი.

მოიჯარადრეთ მიერ დარაბების სარგებლობის მოსაწესრიგებლათ ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოიჯარადრეებმა დარაბებით უნდა ისარგებლონ მხოლოდ თანახმად მათი დანიშნულებისა.

2. საცხოვრებელ ბინათ გადაკეთება დარაბისა, გამტიხვრა ან სხვა რამე წესით შემცირება მისი, აღმასკომის ნებადაურთველად სასტიკად აკრძალულია.

3. ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი დაისჯებიან ან ჯარიმით არა ნაკლებ 16,5 ჩერვონეცისა, ან დაპატიმრებით არა ნაკლებ 2 თვისა.

თავმჯდომარე **სუხიშვილი.**

მდივანი **თიკანაძე.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს: 1. ავეტისოვს, 2. ათარბეკოვს, 3. ადამიძეს, 4. ადამიანს, 5. ოგანოვს, 6. არნაუტოვს, 7. ამოს, 8. ბუნიატ-ზადეს, 9. ბაგიროვს, 10. ბაშინჯაგიანს, 11. ვანციანს, 12. ვულფოვიჩს, 10. ღოღობერიძეს, 14. დანდუროვს, 15. დეშევოის, 15. ერქომაიშვილს, 17. ეგიკოვს, 18. კასიანს, 19. კარახანიანს, 20. ლევშიცს, 21. მორჩილაძეს, 32. მაშკევიჩს, 23. მელიქ-ეტოვს, 24. ნემჩინოვს, 25. ოკუჯავას მ., 26. ოკუჯავა ნიკოლოზს, 27. ოგოროდნიკოვს, 28. პოლისს, 29, საკიანს, 30. საბაშვილს, 31. სურხატიანს, 32. სეროპიანს, 33. სოსიანს, 34. თარხანოვს, 35. ტერ-არუთინოვს,—თანახმად საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის მობილიზაციისა გამოცხადდნენ ორშაბათს, 9 ივლისს, დღის 12 საათზე, საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომში.

მე-3 რაიკომის პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ: რახმანი.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი განმეორებით წინადადებას აძლევს ყველა ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ ტფილისის კომიტეტის საღრიცხვო-სასტატისტიკო განყოფილებაში.

1-ლ რაიონში:

1. ბარანაევი ალექსანდრე, 2. ენუქიძე.

2-რე რაიონში:

1. ლიახოვი გიორგი, 2. არსენტევი, 3. თუმანოვი ნიკოლოზ, 4. ივანოვ-კავკასიელი, 5. ვარდანიანი ფლორა, 6. მენაბდე აკაკი, 7. მანუკიანი სარქის, 8. ყურულაშვილი გიორგი, 9. კაზუმოვი ალექსანდრე, 10. მარგიშვილი გიორგი, 11. გინზბურგი აბრამ, 12. ჩაპლინი ნიკოლოზ.

3-მე რაიონში:

1. ტერტერაშვილი არშაკ, 2. გარიბოვი შმავონ, 3. თალიბლი ბეიუკ-აღა.

4 რაიონში:

1. ალესანდრია ვიქტორ, 2. ადამიძე თამარა, 3. ასლიბეკოვი მიხეილ, 4. ბათულავა ილია, 5. ვართანიანი ამო, 6. გეჩეჩიძე ვალიკო, 7. გოცირიძე სერგო, 8. ჯემარჯიძე გიორგი, 9. ძიძიგური ილარიონ, 10. ჯაფარიძე სერგი, 11. ერზიკიანი სურენ, 12. კოვინევი ნიკოლოზ, 13. კვერნაძე არჩილ, 14. კოლესნიკოვი გრიგოლ, 15. კვირივიშვილი ლევ., 16. ლინდელი ვასილ, 17. ლიპატოვი ვლადიმერ, 18. მშობელი მარკოზ, 19. რაძევიჩი ივანე, 20. სებშუკინი თედორე, 21 სტურუა ივანე, 22. ხარაბაძე გალაქტიონი.

ის ამხანაგები, რომელნიც არ გამოცხადდებიან მოხსნილი იქნებიან საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის ანგარიშიდან, როგორც მექანიკურად გამოსულნი ორგანიზაციიდან.

ტფ კომიტ. მდივანი რუბენი.
საალ.-სასტატ. განყ. გამგე ვულფოვიჩი.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 4 რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემო ჩომთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ რაიკომში ა. | წ. 7 ივლისამდი ერთიანი პარტიული ბილეთების მისაღებად.

1) სტეპანოვი მიხეილ, 2) ცხომელიძე ფილიპე, 3) ნადირაძე ბესარიონ, 4) ჯიბლაძე ლავრენტი, 5) ცატუროვი არამ, 6) ფეტისოვი პანტელეი, 7) ტერ-ტეროვი ივანე, 8) ზვიაგინცევი აფანასი, 9) მურადოვი სურენი, 10) მუსიევი ტიგრანი, 11) მიხაილოვა დარია, 12) კოჩინევი პავლე, 13) მგელაძე ნინა. იმ ამხანაგების პარტბილეთები, რომელნიც აღნიშნულ დროზე არ გამოცხადდებიან, გადაგზავნილი იქნება საქართველოს კომპარტიის ცეკაში.

პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ არუსტანოვი.
საალრიცხვო-სტატისტ. განყოფილ. გამგის მაგიერ ისაკოვი.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი ამით აცხადებს, რომ საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის 1-ლი და 2-რე რაიონის უჯრედების მუშაობის გამოსარკვევად მობილიზაციის წესით მოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები: 1) ელის-ბედაშვილი, 2) მისკინი, 3) გოგიშვილი, 4) ქორიძე, 5) გენკინი, 6) მიხაილოვი, 7) პენიაკოვი, 8) კარპი, 9) თუიშვილი, 10) რუხაძე, 11) მიქელაძე, 12) ვაწაძე, 13) გურგენიძე, 14) ივანიანი, 15) ისმაილოვი, 16) ალაგერდიანი, 17) პოლისი, 18) ვანციანი არტ., 19) ნემიჩინოვი, 20) ავეტიკოვი, 21) მაშკევიჩი ზაქარია, 22) ბაშინჯაგიანი, 23) ვულფოვიჩი, 24) დეშევოი, 25) მორჩილაძე, 26) ათარბეკოვი, 27) ბერია, 28) ადამიძე, 29) ოგოროდნიკოვი, 80) ღოღობერიძე, 31) საბაშვილი მიხ. 32) ლევშიცი, 33) თარხანოვა, 34) ნოვიკოვი, 35) კარახანიანი, 36) კასიანი, 37) სურხატიანი, 38) ბაგიროვი, 39) ბუნიატ-ზადე, 40) ავაქოვი, 41) ოკუჯავა ნ., 42) არნაუტოვი, 43) მელიქსეტოვი, 44) ამო, 45) სეროპიანი, 46) ეგიკოვი, 47) სტეპანიანი, 48) კარტულიანი, 49) რახმანი, 50) კოსტანიანი, 51) ადამიანი, 52) მაქსიმოვი, 53) საკიანი აშოტ, 54) სოსიანი, 55) ფიალკოვსკი, 56) ხუტულაშვილი ვ, 57) ხუტულაშვილი დ. 58) დანდუროვი, 59) ლობჟანიძე, 60) ტერ-არუთინოვი არშაკ.

ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

— საქ. კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მეოთხე რაიკომი აცნობებს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რომ შაბათს, საღამოს 7 საათზე 7 ივლისს პოლონელების მუშათა კლუბში (ნიკოლოზის ქუჩა № 59) შესდგება [illegible] კომფრაქციის სხდომა: 1. ავენირია, 2. მიხნევიჩი [illegible], 3. [illegible], 4. [illegible]ძევსკი კ., 5. ვინჩი კ., 6. გრუშჩინსკი ი., 7. პეხალიაკი [illegible], 8. [illegible]კურგიანი ე., 9. [illegible], 10. მურავსკი გ. 11. იაკოვლევი გ.

პასუხისმგებელი მდივნის მაგიერ: არუსტანოვი.

განცხადებები

კალენიკე, ერნა და ტასო იაშვილები აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს გარდაცვალებას

ლილი კალენიკეს ასული

იაშვილისას

დაკრძალვა მოხდება კვირას, 8 ივლისს ნიკოლოზის (ვერა) სახელობის სასაფლაოზე. გამოსვენება დილის 11 საათზე ერმოლოვის ქუჩიდან № 2. 929 2—1

ღრმად დამწუხრებული დები: ეკატერინე გულისაშვილისა, ნინო მურვანიშვილისა და ოლღა ცისკარიშვილისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძმის

გიორგი (კოლა) გრიგოლის ძე

ელიავას

გარდაცვალებას, დაკრძალვა მოხდება შაბათს, 7 ივლისს გარე-კახეთში სოფ. ახალ-სოფელში 927 1—1

საექიმო-სასანიტარო დარგის მუშაკთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალური გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამ თვის 9-დან 21 რიცხვამდე კავშირის შენობაში (მუშათა სასახლე, ოთახი № 54, მეოთხე სართული)

დინიშნულია აღწერა კავშირის წევრთა

რომელნიც არ არიან გაერთიანებული ადგილობრივ კომიტეტებში (ერთეულები) და იმათიც, რომელთაც პატივსადებ მიზეზების გამო არ გაუვლიათ **გაწმენდა**. აგრეთვე ვალდებულნი არიან გამოცხადდენ კავშირში გადმოსარიცხავად ჩამოსული წევრები. ყოველი გამოცხადებული ვალდებულია იქონიონ თან **საჭირო საბუთები**. აღწერა იწარმოებს 9—11 საათამდე.

926 2—1 ცენტრალურ გამგეობის პასუხის-მგებელი მდივანი ცომაია.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი

აცხადებს, რომ საჯარო ვაჭრობით აუქციონზე

გაიყიდება ოქროს, ვერცხლის

და სხვა საოჯახო **ნივთები**

კვირას, 8 ივლისს, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, **კომისარიატის ეზოში.**

ევანგულოვის ქუჩა № 2. (კრ. 489—1—1)

ამიერ-კავკასიის ფოსტისა და ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი

აცნობებს ყველა მთავრობისა და კერძო პირებს და დაწესებულებებს, რომელნიც ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ტელეფონით სარგებლობენ, რომ

ა. წ. 1-ლ ივლისიდან ტელეფონით სარგებლობის ფასი გამოანგარიშებულია ჩერვონცებში

შემდეგი თვიური ანგარიშით ტფილისის ტელეფონის ქსელზე.

1-ლი	კატეგორიის მომხმარებელთაგან		6	ჩერვონეცის	მანეთი
2	„	„	7	„	„
3	„	„	11	„	„
4	„	„	18	„	„

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ქსელის კანცელიარიაში.

კრ. 488—1—1

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **საბუღალტერიო პრაქტიკული კურსი**

ი. ფ. პალატნიკოვის

პლეხანოვის პრ. № 132.

სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.

მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან.

კურსების გამგე **ი. პალატნიკოვი.**

0—4

კბილის ექიმი

ს. ა. ცეიტლინი

საპიორის ქ. № 41, მიღება მუდამ დღე 9—2 საათ. დღის და 4—7 ს. საღ. კვირაობით 9—2 ს. დღის

ხელოვნური კბილები. ოქროს მუშაობა 25—19

ელექტრონის სინათლის და

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] **ექიმობას საჭიროებენ.**

[illegible] სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** [illegible]

ნ[illegible] ტფილისი, [illegible] ქ. № 20 (501 25 19

ქ. თბილისის მე-5 უბნის სახალხო მოსამართლე

(მუხრანის ქ. № 4)

იწვევს უგზო-უკვლოდ დაკარგულ გიორგი სევასტის ძე სევასტოპულოს, როგორც მოპასუხეს ხაჩატურ ბაგრატის ძე გულგულიანცის სარჩელის გა 165 ჩერვონცით, რომელიც უნდა გამოცხადდეს ამ განცხადების დღიდან თვის განმავლობაში სასამართლოში; თუ არ გამოცხადდა აღნიშნულ ზე, საქმე გაირჩევა დაუსწრებლად და განაჩენი იქნება ძალაში შესულ

930 1—1

სახ. მოსამართლე: **გ. რადლებ**

დავკარგე პასპორტი ბორჩალოს მაზრის, სოფ. წალკაში მო მული ამირ ალტამ ნოვრუზ ოღლის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 925 1

დავკარგე მეტრის მთავარ კომიტეტის მიერ მოცემული თარი № 1966 რძის კრუჟკის მისაღებად რიგ შიგაიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 928—1

„ზარია ვოსტოკა-ს" სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4.